სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჯაბა ნასყიდაშვილი

საბაჟო საქმიანობის მიზნები და პრობლემები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი

2020

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ჯ.ნასყიდაშვილი

საბაჟო საქმიანობის მიზნები და პრობლემები საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **საბაჟო საქმიანობის მიზნები და პრობლემები საქართველოში** შეეხება საბაჟო ორგანოების მახასიათებლებს, ძირითად საბაჟო დოკუმენტებს, საქონლის დეკლარირების თავისებურებებს საზღვარზე, საბაჟო დეკლარაციის ფორმებს, სახეებს, წარდგენის, რეგისტრაციის, შესწორების და გამოთხოვის თავისებურებებს. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა საბაჟო საქმიანობის თავისებურებები, ინტეგრირებული ტარიფების გამოყენების მეთოდები. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმების შემთხვევაში რისკის კიტერიუმებთან და შესაბამის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გავეცნოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციები. ჩატარებული **კვლევის საგნია** საქართველოს საბაჟო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების კვლევა. **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ ლოგისტიკური ბიზნეს-კომპანიების მიერ საქონლის საზღვარზე გადატანის და საბაჟო ოფისებთან მათი ურთიერთობის პროცესში ხშირია შეფერხებები/დაყოვნებები ავტომატიზაციის და დროული კომუნიკაციის არარსებობის გამო საბაჟო ოფისებს შორის. ამის შედეგად საბოლოო მყიდველებიც ხშირად დაგვიანებით ღებულობენ საქონელს.ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ელექტრონული საბაჟო მონაცემების გაცვლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საბაჟო უწყებებს შორის.

Annotation

J.Naskidashvili

Goals and problems of customs activities in Georgia

The objectives of our master's thesis and the problems of customs activities in Georgia relate to the characteristics of customs authorities, basic customs documents, features of declaring goods at the border, forms of customs declarations, types, peculiarities of filing, registration, correction and inquiry. Our goal was to study the specifics of customs activities, methods of applying integrated tariffs. Therefore, I think the research topic is relevant for us. The purpose of the study is to show that when registering goods using customs declaration of goods, it is necessary to familiarize oneself with the instructions approved by the relevant order of the Minister of Finance of Georgia regarding the risk criteria and relevant terminology. The subject of the research is the study of the main directions of improving the customs system of Georgia. The object of the research is information posted on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia, the Customs Department of the LEPL Tax Service, and the National Statistical Office of Georgia. The main result of our research is that logistics companies move goods across borders and often interact with customs due to delays / delays between customs due to lack of automation and timely communication. As a result, end customers are often late in picking up the goods. A novelty of our research is the demonstration of the need to ensure the exchange of electronic customs data between the customs of the Eastern Partnership countries and the EU member states.

შინაარსი

საბაჟო საქმიანობის მიზნები და პრობლემები საქართველოში

შესავალი ---------- 4

თავი I. საბაჟო საქმიანობის მენეჯმენტი ---------- 6

1.1. საბაჟო ორგანოების ფუნქციები და მათი მახასიათებლები ---------- 6

1.2. ძირითადი საბაჟო დოკუმენტები ---------- 12

თავი II. საქონლის დეკლარირება საბაჟო საზღვარზე ---------- 21

2.1. დეკლარანტის უფლება-მოვალეობები ---------- 21

2.2. საბაჟო დეკლარაციის ფორმები, სახეები, წარდგენა, რეგისტრაცია, შესწორება და გამოთხოვა ---------- 26

თავი III. საქონლის საბაჟო ღირებულება და დარღვევები ---------- 34

3.1. საბაჟო ღირებულების დეკლარირება და საბაჟო კონტროლი ---------- 34

3.2. საბაჟო სამართალდღვევის ფაქტები საქართველოს საზღვრებზე ---------- 39

დასკვნა ---------- 52

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 54

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„საბაჟო საქმიანობის მიზნები და პრობლემები საქართველოში“** შეეხება სბაჟო საქმიანობის ორგანიზებას, მენეჯმენტს, საბაჟო ზედამხედველობას და საბაჟო დოკუმენტაციის წარმოებას, საბაჟო საქმიანობის ანალიზს საქართველოში. საბაჟო საქმის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა პრაქტიკა, როდესაც ვაჭრობა ერთი ქვეყნის საზღვრებს არ სცილდებოდა. თავის მხრივ, საგარეო ვაჭრობის განვითარება დაკავშირებულია სატრანსპორტო ინდუსტრიისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო მიმართულებით. 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო საბაჟო სამსახურის შენება. კერძოდ:

- 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი - კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ;
- 1992 წელს მიღებულ იქნა პირველი საბაჟო კოდექსი;
- 1998 წელს მიღებულ იქნა რიგით მეორე საბაჟო კოდექსი;
- 2007 წელს მიღებულ იქნა რიგით მესამე საბაჟო კოდექსი და ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი;
- 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები. ამასთან, ყველა ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტიც გაერთიანდა ერთ ნორმატიულ აქტად.

საბაჟო საქმის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 2007 წელს ამოქმედებულ საბაჟო კანონმდებლობას. კერძოდ, როგორც აღინიშნა, 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნებთან იყო ჰარმონიზებული და მასთან ერთად ამოქმედდა ასევე, ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებშიც თავიდან გაიწერა საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი ამოცანები (შესრულების მექანიზმებთან ერთად), საბაჟო რეჟიმები და საბაჟო კონტროლის პროცედურები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული საბაჟო კოდექსით შემოღებულ იქნა საბაჟო

სამართალდარღვევის ცნება და ამ კოდექსითვე განისაზღვრა პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები თითოეული საბაჟო სამართალდარღვევისათვის. შედეგად, ბიზნესმენები მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტით ღებულობენ ინფორმაციას თუ რა ითვლება საბაჟო სამართალდარღვევად და რა არა. 2007 წლის გაზაფხულიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდა ერთ სამსახურად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით. აღნიშნული და სხვა ბევრი რეფორმის შედეგად გამარტივდა საბაჟო საქმიანობის ადმინისტრირება, რასაც მოჰყვა საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, აგრეთვე ბიზნესმენების მხრიდან კანონმდებლობის არცოდნით გამოწვეულ ჯარიმებთან დაკავშირებული დამატებითი დროისა და ხარჯების შემცირება.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ელეტრონული ბიბლიოთეკის მასალები, ასევე ELSEVIER-ის ბაზები: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), საგნობრივი 900-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, ონლაინ რესურსები, რომლებზეც მსოფლიო პანდემიის პირობებში უფასოდ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

საბაჟო საქმიანობის მენეჯმენტი

1.1. საბაჟო ორგანოების ფუნქციები და მათი მახასიათებლები

„საბაჟო ურთიერთობები წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილს, კერძოდ საბაჟო ურთიერთობები საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ სასაქონლო-სავაჭრო ნაწილია. ეს განპირობებულია იმით, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს საერთაშორისო საკრედიტო, საფინანსო, ლოგიტიკურ და სხვა ურთიერთობებს. საბაჟო საქმის შესწავლის ობიექტია საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები.“[1] რაც შეეხება შესწავლის საგანს, იგი წარმოადგენს საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო ორგანოსა და შესაბამის პირებს შორის წარმოშობილ საბაჟო ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები მოვლენათა ზედაპირზე ჩანს ისეთი საბაჟო-ეკონომიკური კატეგორიების სახით, როგორიც არის: იმპორტი, ექსპორტი, საქონლის საბაჟო დამუშავების სხვა ოპერაციები, საბაჟო გადასახდელები, არასატარიფო ღონისძიებები და სხვა.

„საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის იურიდიულ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. საბაჟო ორგანო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- ამზადებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.
- საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელი იურიდიული, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შემუშავება. შეიმუშავებს და ახორციელებს ინდივიდუალურ პროგრამებს საქმიანობის განვითარების მიზნით.
- ამზადებს საბაჟო საქმიანობასა და პოლიტიკას მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტები.

[1] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.28

- უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო ორგანოების მონაწილეობას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზომების განხორციელებაში, ცხოველების, მცენარეების და გარემოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვაში.
- უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის შესწავლასა და ანალიზს ამ ქვეყნებში საბაჟო გამოცდილების შესახებ და მათ გამოცდილებას საქართველოს საბაჟო ორგანოების საქმიანობაში."[2]

„ბაჟი" სპარსული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც წერილობით წყაროებში საქართველოში პირველად მე-11 საუკუნეში მოიხსენიება შიო მღვიმის მონასტრისადმი გიორგი II-ის სიგელში. აღსანიშნავია ის, რომ სალიტერატურო ენაში სიტყვა „ტამოჟნიეს" ნაცვლად „სიტყვა „საბაჟოს" ილია ჭავჭავაძემ გაუკაფა გზა.

„საბაჟოები" ბიბლიური დროიდან არსებობენ, მათი წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს წარმოშობასთან. თავდაპირველად მან ის ფუნქცია შეიძინა, რაც აუცილებელი იყო სახელმწიფო ხაზინის შევსებისა და ფუნქციონირებისათვის. ამდენად საბაჟო ორგანოს გარიჟრაჟზე მისი ძირითადი ფუნქცია მხოლოდ საბაჟო გადასახადის აკრეფაში მდგომარეობდა.

შუა საუკუნეებიდან, როდესაც ვითარდება სხელმწიფოებს შორის სასაქონლო და სავაჭრო ურთიერთობები საბაჟო ორგანო ფისკალურ ფუნქციასთან ერთად პროტექციონისტურ ფუნქციასაც იძენს, რაც უცხოური პროდუქტის ექსპანსიისაგან ადგილობრივი წარმოების დაცვაში მდგომარეობდა. ეს ფუნქცია მას დღემდე რჩება. დღევანდელ პირობებში საბაჟო ორგანოების ფუნქციები შეიძლება დავწყოთ ორ კატეგორიად: გლობალური და ლოკალური ფუნქცია.

გლობალურ ფუნქციას მიეკუთვნება საბაჟო ორგანოების ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ხოლო ლოკალურია ისეთი ფუნქცია, რომლის ზეგავლენა შემოიფარგლება ადგილობრივი ეკონომიკით და შიდა ბაზრით. გლობალურ ფუნქციას მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო დანაწილების რეგულირების ფუნქცია, ხოლო ლოკალურს-მოცემული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია. ამ უკანასკნელიდან

[2] საქართველოს საბაჟო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. თინათინ გათენაძე. თბ. 2020. გვ. 8

შეგვიძლია გამოვყოთ ფისკალური, პროტექციონისტური და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქციები. „შრომის საერთაშორისო დანაწილებს რეგულირების ფუნქცია ნიშნავს იმ ფაქტს, რომ საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელებული სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები ან ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას ან აფერხებს და ზღუდავს მას. ანუ სატარუფო ღონისძიებები, საბაჟო გადასახადის მაღალი განაკვეთი ასტიმულირებს ეროვნული ეკონომიკის იზოლირებას შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ინტეგრაციისაკენ და პირიქით, დაბალი განაკვეთი ან მისი გაუქმება ხელს აძლევს შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას და ეროვნული ეკონომიკების ჩართვას თანაბარ კონკურენტულ ბრძოლაში.“[3]

„საბაჟო პოლიტიკას ახორციელებენ სახელმწიფო მეთაურები, აღმასრულებელი სტრუქტურები და საბაჟოები. საბაჟო არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ – ერთი მთავარი ინსტიტუტი. ქვეყანაში საბაჟო სამსახურებისთვის მინიჭებული ძირითადი ფუნქციებია საგარეო ვაჭრობის რეგულირება, გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუქმება და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. საბაჟოების გარდა, სახელმწიფო იცავს სახელმწიფოს იარაღის, ნარკოტიკების და კონტრაბანდის სხვა ფორმებისგან. საბაჟო უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, შიდა ბაზრის დაცვას და საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო ორგანოებმა ჰორიზონტალური ურთიერთობების გაძლიერების ცენტრში შექმნეს ინსტიტუციური რეფორმების ღრმა ფილიალი, რომელიც ბადებს ადგილობრივ საბაჟო სტატუსს და უფლებებსა და მოვალეობებს.“[4]

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური და სოციალური უშიშროების ფუნქცია გამოხატულებას პოვებს ფისკალურ, პროტექციონისტურ და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქციებში. საბაჟო ორგანოს ფისკალური ფუნქცია გამოიხატება არა მხოლოდ საბაჟო გადასახადის აკრეფასა და მის

---

[3] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: ბრძანება N446 ქ. თბილისი, 7 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 2. გვ. 20-23.

[4] საქართველოს საბაჟო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. თინათინ გათენაძე. თბ. 2020. გვ. 10

სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებაში, არამედ ზოგადად საბაჟო გადასახდელების აკრეფაში. კერძოდ საბაჟო ორგანო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების დროს კრებს არა მხოლოდ საკუთრივ საბაჟო გადასახადს, არამედ აქციზს, დღგ-ს, აგრეთვე საბაჟო მოსაკრებელს.

„საბაჟო სამუშაოს ორგანიზებაში იგულისხმება საბაჟო საქმის სპეციალისტის ნებისმიერი აქტივობა, რომელიც საჭიროა სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესრულებისათვის. სამუშაოს ორგანიზებას საბაჟო საქმის ყველა სპეციალისტი ახორციელებს ინდივიდუალურად, თუმცა სახელმძღვანელოში განხილულია ისეთი აქტივობები, რომელთა გათვალისწინებაც ხშირად სავალდებულოა ყოველდღიურ საქმიანობაში. კერძოდ, სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზებაში იგულისხმება:

- მკაცრი აღრიცხვის სამსახურებრივი ატრიბუტიკისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;
- სამუშაო აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილეობა;
- საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეებისა და დავალებების გაცნობა;
- შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარება.“[5]

„საბაჟო ორგანოს პროტექციონისტული ფუნქციის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ საბაჟო გადასახადის საშუალებით რეალიზებული ანალოგიური საქონლის შიდა ბაზრის დაცვის ფუნქცია, არამედ უფრო ფართო ხასიათის ფუნქცია, რომელიც შემდეგი სახით ვლინდება:

- შიდა სასაქონლო ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან;
- ფიტოსანიტარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;
- ვეტერინარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;
- სამედიცინო-სანიტარული კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;
- რადიაციული უსაფრთხოების კონტროლი და მოსახლეობის სოციალური დაცვა;

[5] საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმზღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ. 2015, გვ. 30

- ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობის კონტროლი და შიდა ბაზრის და მოსახლეობის შესაბამისი დაცვა;
- სავალუტო კონტროლი და ეკონომიკის დაცვა საგარეო მონეტარული მაქინაციებისაგან;
- ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლი ეკონომიკის გზების დაცვა;
- კონტრაფაქციის, ინტელექტუალური საკუთრებისა და კულტურულ ფასეულობათა გადაადგილების კონტროლი და ამ საქონლის შიდა ბაზრის დაცვა, აგრეთვე სხვა ქვეყნის ბაზრების შესაბამისი ინტერესების დაცვა.“[6]

ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ქვეყნებში საბაჟო საზღვარზე დელეგირებული აქვთ არასაბაჟო ორგანოებს. მაგალითად სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ან ჯანდაცვის სამინისტრო და სხვ. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქციებიც საბაჟო ორგანოს პრეროგატივას წარმოადგენს, რაც ხელს აძლევს ერთიანი საბაჟო კონტროლის გაძლიერებას და კოორდინაციას.

„საბაჟო ორგანოს მიერ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა ინფორმირების ფუნქცია წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკისა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მძლავრ ფაქტორს. სწორედ იმპორტიორთა და ექსპორტიორთა სწორი და გამჭვირვალე ინფორმირება წარმოადგენს საქონელთა საერთაშორისო ლოგისტიკური ნაკადების ტემპების ზრდას. შესაბამისად საბაჟო ორგანოები დაინტერესებულ პირებს, როგორებიცაა დეკლარანტები, გადამზიდველები, ექსპედიტორები, ექსპორტიორები, ომპორტიორები, მგზავრები და ა.შ. აწვდიან ინფორმაციას მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესახებ.“[7] საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი საჯარო ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს შემდეგი ფორმებით და საშუალებებით:

- პუბლიკაციების სახით: ოფიციალური გაზეთების, ბიულეტინების სახით;

---

[6] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N 386: ქ. თბილისი, 15 იანვარი 2019 წელი. ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 38-39.

[7] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.30

- შესაბამისის საბაჟო გამშვები პუნქტების მეშვეობით;
- სტრატეგიული პუნქტების საშუალებით, მაგალითად გემებში, თვითმფრინავებში, საერთაშორისო მატარებლებში ან აეროპორტებში, საზღვაო პორტებში და რკინიგზის სადგურებში წერილობითი ინფორმაციის მიწოდება საბაჟო გადასახდელებისაგან გათავისუფლებაზე ან აკრძალული საქონლის შესახებ ან სხვა სატარიფო ან არასატარიფო ღონისძიებების შესახებ;
- საელჩოების მეშვეობით;
- ისეთ საზოგადოებრივ ადგილებში სადემონსტრაციო სტენდების საშუალებით, როგორიც არის მთავარი ფოსტა, ტურისტული ცენტრები და სხვ.
- სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების და პრესრელიზების საშუალებით;
- ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე თარგმნით;

საბაჟო ორგანო რიგ შემთხვევებში არ გასცემს პირების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, თუ ის განეკუთვნება კონფიდენციალური ხასიათის კატეგორიას, მაგალითად: კომერციული, სახელმწიფო ან სხვა სახის საიდუმლოება. ამასთან, როგორც წესი საბაჟო ორგანო არ გასცემს ინფორმაციას იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის გაცხადება:

- ზიანს აყენებს ეკონომიკის სახელმწიფო მართვას;
- ზიანს აყენებს საბაჟო გადასახდელების აკრეფას;
- ხელს უშლის გამოძიებისა და დანაშაულის გამოვლენის პროცედურას;

„საბაჟო სამსახური კონტროლირებადი სისტემადან გადავიდა საკონტროლო სისტემაში. შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო სივრცეზე ერთპიროვნულ კონტროლს, ამ სივრცის შეცვლას და რეალურ დროში მუშაობას. თანამედროვე ადათ-წესები აქტიური მოთამაშეა გლობალიზაციის პროცესში. ყოველწლიურად 700 მილიონი ადამიანი კვეთს სახელმწიფო საზღვარს და მილიარდობით ტონა ტვირთს. ახალი საბაჟო ასევე ასრულებს სამ ტრადიციულ ფუნქციას: ფისკალური, ეკონომიკური, დამცავი. TAS პროექტი, საქართველოს საბაჟო პროცედურების განხორციელება და შესწავლა წარმატებულია საქართველოში. იგი

ითვალისწინებს საბაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას და მართვის ახალი სისტემის დანერგვას.“[8]

1.2. ძირითადი საბაჟო დოკუმენტები

საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი წარმოადგენს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების საფუძველს. კონტრაქტის ფორმა და შინაარსი კანონმდებლობით არ დგინდება და წარმოადგენს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ნებაყოფლობით შედგენილ ტექსტს, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს. კონტრაქტი ითვალისწინებს მთელი რიგი პირობების გათვალისწინებას, რაც წარმოშობს მხარეთა გარკვეულ უფლება-მოვალეობებს. ქვემოთ შემოთავაზებულია კონტრაქტის სტანდარტული ფორმა. (სქემა #1)

კონტრაქტის ხელშეკრულება #...

2020 წლის 7 აგვისტო მარტვილი

შპს „დიტომ“ ბონი, გერმანია, შემდგომში-მომწოდებელი, ერთი მხრივ და შპს „თედომ“ მარტვილი, საქართველო, შემდგომში, როგორც მყიდველი მეორე მხრივ დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. კონტრაქტის საგანი

მომწოდებელი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ლუდს ბოთლებში ჩამოსხმულს

2. რაოდენობა და ფასი

ფასი მითითებულია CIF ფოთის მიწოდების პირობით „ინკოტერმსის“ შესაბამისად

საქონლის აღწერრილობა-ლუდი „ვედიდკარი“, რაოდენობა 1 000 000 ბოთლი, 1 ბოთლის ღირებულება 1 ევრო, მთლიანი ღირებულება 1 000 000 ერთი მილიონი ევრო.

3. ტვირთის მიმღები

ტვირთმიმღები: შპს „თედო“, მარტვილი საქართველო

[8] საქართველოს საბაჟო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. თინათინ გათენაძე. თბ. 2020. გვ. 11

4. გადახდის პირობები

მთლიანი თანხის გადახდა განხორციელდება ერთდროულად უნაღდო ანგარიშსწორების გზით საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარულ დღეში.

5. მიწოდების ვადა.

მიწოდება განხორციელდება კონტრაქტის ხელმოწერიდან.

6. საჯარიმო სანქციები

დადაგენილ ვადაში საქონლის მიუწოდებლობისათვის მიმწოდებელს გადახდება ჯარიმა საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხოლო დადგენილ ვადაში თანხის გადაუხდელობისათვის ტვირთმიმღებს გადახდება ჯარიმა გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ფორსმაჟორი

დაუძლეველი ძალის დადგომის დრო ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები ავტომატურად გადაიწევა შესაბამისი დაუძლეველი ძალის აღმოფხვრამდე.

8. არბიტრაჟი

მხარეებს შორის წარმოშობილი დავა და კამათი უნდა გადაწყდეს შეძლებისდაგვარად მოლაპარაკებისა და დათმობის გზით.

9. კონტრაქტის მოქმედების ვადა

ამ კონტრატქის მოქმედების ვადა ვრცელდება 2020 წლის ბოლომდე და შეიძლება გაგრძელდეს მხარეებს შორის შეთანხმებით.

10. მხარეების იურიდიული მისამართები

გამყიდველი	მყიდველი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

„ინვოისი წარმოადგენს საქონლის ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის საქონლის ყიდვა გაყიდვის ხელშეკრულების საუძველზე შედგენილ დოკუმენტს, რომელსაც ექსპორტიორი (გამყიდველი) გამოუწერს და გადასცემს იმპორტიორს (მყიდველს). ფულადი ანგარიშსწორების ასპექტით ინვოისი წარმოადგენს ექსპორტიორის ერთგვარ დავალებას იმპორტიორისათვის, რათა ამ უკანასკნელმა საქონლის მიწოდები პირობების შესაბამისად გადაიხადოს ყიდვა-გაყიდვის

ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.“[9] ინვოისის ფორმა და შევსების წესი არ დგინდება კანონმდებლობით, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დადგენილია საერთაშორისო ვაჭრობის ინვოისის ერთიანი ნიმუში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ რეკვიზიტებს:

- ექსპორტიორი;
- იმპორტიორი;
- საქონლის დასახელება, წონა, ღირებულება, მიწოდების პირობები.

ინვოისები და სხვა საბაჟო დოკუმენტები ივსება ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, კონკრეტული კომერციული ივოისის ფორმის შესახებ. ქვემოთ შემოთავაზებულია ინვოისის სტანდარტული ფორმა. (სქემა #2)

INVOICE ……

Contact no: 00000001/01 invoice no: 0001

Date: 01.08.2020

Exporter (name, address, country)

LTD „DITO“

Consignee (name, address, country) Quantity Rate Amount

LTD „THEDO“

CONTRACT NO: 00000001/01 MT USD USD

Vegetable oil mfr 3234

Pasked in 1150 bags in box of each

18 kgs neet weight

Asst manager

„საერთაშორისო სასაქონლო - სატრანსპორტო ზედნადები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საბაჟო დოკუმენტს, რომელსაც გამოწერს გადამზიდველი და წარუდგენს საქონლის ექსპორტიორს ან ემპორტიორს ან მათ წარმომადგენელს. ზედნადები მოიცავს საქონლის საბაჟო იდენტიფიცირებისა და საბაჟო

[9] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.70

კონტროლისათვის აუცილებელ პირველსაწყის ინფორმაციას,“[10] კერძოდ ზედნადებში მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- ზედნადების შედგენის თარიღი და ადგილი;
- გამგზავნის დასახელება და მისამართი;
- გადამზიდავის დასახელება და მისამართი;
- საქონლის მიღების ადგილი, თარიღი და მიტანის ადგილი;
- მიმღების დასახელება და მისამართი
- საქონლის მახასიათებლების მიღებული აღნიშვნები, შეფუთვის სახეობა, სახიფათო საქონლის გადაზიდვისას მათი საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნები;
- სატვირთო ადგილების რაოდენობა, მათი სპეციალური მარკირება და ნუმერაცია;
- საქონლის ბრუტო წონის მონაცემები ან სხვა საზომ ერთეულებში გამოხატული საქონლის რაოდენობის აღნიშვნები;
- გადაზიდვის გადასახდელები და სხვა გადასახდელები, რომელთა გადახდევინება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან საქონლის ადგილზე მიტანამდე;
- მითითებები საბაჟო და სხვა ფორმალობის შესასრულებლად.

ზედნადები საჭიროებისას შეიძლება მოიცავდეს შემდეგ დამატებით მონაცემებს:

- მითითებას, რომ გადატვირთვა აკრძალულია;
- გადასახდელებს, რომელიც გამგზავნმა უნდა გადაიხადოს;
- გადასახდელებს, რომლებიც უნდა იქნეს გადახდილი საქონლის ჩაბარებისას;
- გადამზიდავისათვის გამგზავნის მითითებებს საქონლის დაზღვევის შესახებ;
- გადაზიდვის შეთანხმებულ ვადას;
- გადამზიდავისათვის გადაცემული დოკუმენტების ნუსხას;

[10] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: ბრძანება N446 ქ. თბილისი, 7 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 2. გვ. 20-23.

<table>
<tr><td colspan="2">

საერთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედანდები

Frachtbrief CMR

ეს გადაზიდვები ხორციელდება მხოლოდ ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების კონვენციის პირობებით

</td></tr>
<tr><td>

1. გამგზავნი-დასახელება, მისამართი, ქვეყანა
2. მიმღები-დასახელება, მისამართი, ქვეყანა
3. ტვირთის ჩამოტვირთვის ადგილი
4. ტვირთის ჩატვირთვის თარიღი და ადგილი
5. თანმხლები დოკუმენტები
6. ნიშნები და ნომრები
7. ადგილების რაოდენობა
8. შეფუთვის სახე
9. ტვირთის დასახელება
10. სტატისტიკის N
11. ბრუტო წონა
12. მოცულობა
13. გამგზავნის მითითებები საბაჟო და სხვა
14. დაბრუნება
15. გადახდის პირობები - ფრანკო, არაფრანკო
16. – 19 ექვემდებარება გადახდას (განაკვეთი, დათმობა, სხვაობა, დანამატი, დამატებითი მოსაკრებელი, სხვა გადახდის შედეგი, გამგზავნი, ვალუტა, მიმღები)

</td><td>

20. განსაკუთრებული შეთანხმებული პირობები

21. შედგენის თარიღი

22. მოსვლა (წასვლა)

23. საგზაო ფურცელი (მძღოლის გვარი, გადამზიდველის ხელმოწერა და შტამპი)

24. ტვირთი მიღებულია (თარიღი), მოსვლა გადმოსატვირთად (საათი, წუთი), წასვლა (საათი, წუთი), მიმღების ხელმოწერა და შტამპი.

25. რეგისტრაციის ნომერი

26. მარკა (გამწევი, მისაბმელი)

27.

ტარიფი 1 კმ-ზე, სატარიფო მანძილი კმ-ში

28. სატარიფო მანძილი კმ-ში (სქემა, სატარიფო წონა, რატიფი 1 ტონაზე, დანამატები, დათმობები, სხვა გადახდები, გადარიცხვა, გადახდილია შემკვეთის მიერ, ვაუტა, გადამხდელის კოდი

29. ტარიფი

</td></tr>
</table>

გემის ბორტზე საქონლის მიღების შემდეგ გადამზიდველი (კაპიტანი, გადამზიდველის აგენტი) ვალდებულია გამგზავნის მოთხოვნით გამოწეროს **კონოსამენტი** და გადასცეს იგი საქონლის გამგზავნს. კონოსამენტს გამოწერენ აგრეთვე ექსპედიტორები მულტიმოდალური (შერეული) გადაზიდვების დროს, მაგალითად შორეული გადაზიდვის კონოსამენტი-FBL. კონოსამენტი არის საზღვაო ზედნადები, მაგრამ ამასთან იგი წარმოადგენს საქონლის განკარგვის ულების მომნიჭებელ დოკუმენტსაც, იგი ითვლება ფასიან ქაღალდად, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა. კონოსამენტს სამი ძირითადი ფუნქცია აქვს:

- მიმღებისთვის იგი არის საქონლის განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმოადგენს გადაზიდვის სესახებ ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- წარმოადგენს გემის კაპიტნის ხელწერილს საქონლის გემზე მიღების შესახებ;

კონოსამენტი ძირითადად მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- გადამზიდავი სანაოსნოს დასახელებას;
- გემის დასახელებას და ქვეყნის კუთვნილებას;
- გამგზავნის დასახელებას;
- მიმღების დასახელებას;
- დატვირთვის პორტს;
- დანიშნულების პორტს;
- საბოლოო დანიშნულების ადგილს;
- გაგზავნის თარიღს, შეფუთვის რაოდენობას და სახეებს, აღწერილობას, წონას, მასას, მოცულობას;
- მონაცემებს ფრახტის გადახდის შესახებ;
- გაორმების, გაცემის ადგილს და თარიღს;
- უკვე გაცემული ორიგინალი კონოსამენტების რაოდენობას;
- ორიგინალ კონოსამენტზე საზღვაო გადამზიდავის წარმომადგენლის და სანაოსნო აგენტის ხელმოწერას.

„საქონლის გადაცემის პრინციპების მიხედვით **კონოსამენტი სამი სახისაა:** სახელობითი, ორდერული და წარმდგენზე.

- **სახელობითი კონოსამენტით** საქონლის მიღების უფლება გადაეცემა მხოლოდ იმ პირს ვისი რეკვიზიტებიც არის აღნიშნული კონოსამენტში. ამ შემთხვევაში გადაცემა ხორციელდება ცესიით ანუ გემის კაპიტნის მიერ კონოსამენტის პირდაპირ გადაცემით. „ცესია“-cession ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დათმობას, გადაცემას, ხოლო „ცესიონერი“, ნიშნავს პირს, რომელიც ანხორციელებს გადაცემას.
- **ორდერულ კონოსამენტში** საქონლის მიმღები აღნიშნული არ არის, ამდენად ამ სახის კონოსამენტით საქონლის მიღებაზე უფლების გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტის მეშვეობით. ინდოსამენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ზურგს, ამ შემთხვევაში კი გადაცემის წარწერას ფასიანი წაღადის უკანა მხარეზე, რომელიც წარმოადგენს სხვა პირისათვის განსაზღვრული უფლებების გადაცემის დადასტურებას. წარმდგენის შემთხვევაში საქონლის მფლობელი ხდება კონოსამენტის ფიზიკური წარმდგენი.“[11]

„ფუნქციონალური თვალსაზრისით კონოსამენტი შემდეგი სახისაა:

- **გამჭოლი კონოსამენტი**-იგი გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ბოლო დანიშნულების პორტამდე გემზე დატვირთული საქონლის სხვა გმებზე გადატვირთვა. მას აკისრია სატრანსპორტო ლოგისტიკის შემგომი მართვა მითითებული დანიშნულების პუნქტამდე.
- **კომბინირებული სატრანსპორტო კონოსამენტი**-იგი გაიცემა მულტიმოდალური ტრანსპორტის ოპერატორების მიერ, მას აკისრია საერთო სატრანსპორტო პროცესის განხორციელების პასუხისმგებლობა საქონლის გაგზავნის ადგილიდან მიღების ადგილამდე სხვადსხვა სატრანსპორტო საშუალებებით.
- **სახაზო კონოსამენტი**-იგი გაიცემა სანაოსნოების მიერ და გამოიყენება რეგულარული საზღვაო მიმოსვლის მარშრუტებზე.

---

[11] "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N 386: ქ. თბილისი, 15 იანვარი 2019 წელი. ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 38-39.

- **ექსპრესული კონოსამენტი** წარმოადგენს სანაოსნოების მიერ საქონლის მირების დასტურს. მისი მიზანია კონოსამენტის გრძელი საფოსტო გზის შემცირება.
- **მულტიმოდალური კონოსამენტი**-წარმოადგენს გამჭოლი კონოსამენტის სახეს, რომელიც გაიცემა შერეული გადაზიდვების ექსპედიტორის მიერ. ამ დროს ექსპედიტორი იღებს ტავის ტავზე გადაზიდვაში მონაწილეთა საერთო პასუხისმგებლობას საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანამდე, რაც აუცილებლად ექვემდებარება დაზღვევას.“ [12]

„საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით, ასეთი საქონლისა და მანქანების მფლობელი ან მისი უფლებამოსილი პირი ასრულებს საბაჟო განბაჟების ოპერაციებს, რომლებიც აუცილებელია: შემოწმება, დატვირთვა, გადმოტვირთვა, ტრანსპორტირება, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, გახსნა, შეფუთვა ან შეფუთვა. საწყობის მფლობელს ასევე მოეთხოვება გახსნას საწყობები, საწყობები და სხვა ადგილები, სადაც შესაძლებელია საქონლის და მანქანების გადაზიდვა, რომლებიც ექვემდებარება საბაჟო განბაჟებას. ეს ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები ხორციელდება მეპატრონის ხარჯზე და არ უნდა გამოიწვიოს ამ მიზნით რაიმე სახელმწიფო ხარჯები. საქართველოს საბაჟო კოდექსი განსაზღვრავს პრიორიტეტულ წესებს განბაჟების მიზნით. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, საქონლის შემცველი საქონლის საბაჟო განბაჟება, რომელიც იგზავნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე კატასტროფების, კატასტროფების, კატასტროფის და კატასტროფის საკითხებში დახმარების აღმოჩენა, უნდა განხორციელდეს გამარტივებული წესით და წესრიგში პრიორიტეტი. აკრძალულია საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ან განლაგება, რომლებისთვისაც არ არის სრულყოფილი განბაჟება.“

„ვინ არის ,,ოქროს სიის'' მონაწილე? „ოქროს სიის“ მონაწილე არის პირი, რომელიც სარგებლობს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადით. შემოსავლების სამსახური „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსს ანიჭებს პირს თუ:

[12] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.76

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტში ან/და ექსპორტში დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 5,0 მლნ ლარისა;
- გადახდილი იმპორტის გადასახდელების ოდენობის მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 900 000 ლარისა, ან საქონლის იმპორტის ან/და ექსპორტის მიზნით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციების დიდი ოდენობა – არანაკლებ 100-ისა.
- შემოსავლების სამსახურში კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის კალენდარული თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით დასტურდება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-10, მე-11, მე-19–21-ე ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების არარსებობა (როცა გასულია 1 კალენდარული წელი აღნიშნული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან).დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია; საგადასახადო დავალიანების არქონა. “[13]

[13] https://www.rs.ge/4811 შემოსავლების სამსახური. გადამოწმებულია 15.08.2020

თავი II

საქონლის დეკლარირება საბაჟო საზღვარზე

2.1. დეკლარანტის უფლება-მოვალეობები

„დეკლარანტი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი საბაჟო პროცესურების განხორციელებაზე. დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით, ან პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება. ამ განსაზღვრებას საბოლოო ჯამში მივყავართ წარმომადგენლის ცნებასთან. დეკლარანტის განსაზღვრებაში გამოყოფენ ორ განსხვავებულ მომენტს:“[14]

- დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით. ამ დროს საქონლის დეკლარირებას უშუალოდ ხორციელებს იმპორტიორი ან ექსპორტიორი ანუ საქონლის მესაკუთრე ან ირიბი წარმომადგენელი.
- დეკლარანტი არის პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება. ამ შემთხვევაში თუ სხვა პირი წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციას იმპორტიორის, ექსპორტიორის ანუ საქონლის მესაკუთრის სახელით, მაშინ დეკლარანტი არის არა დეკლარაციის წარმდგენი, არამედ-იმპორტიორი, ექსპორტიორი ანუ საქონლის მესაკუთრე.

„დეკლარანტის უფლებებს წარმოადგენს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების განხორციელების ან ამ პროცედურებში მონაწილეობის მიღების უფლება. კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარანტს უფლება აქვს წარადგინოს შესაბამის საბაჟო ორგანოში საბაჟო დეკლარაცია, დაათვალიეროს საქონელი საბაჟო კონტროლქვეშ, შამოწმოს მის მიერ საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების აუთენტურობა და მასში

[14] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N 386: ქ. თბილისი, 15 იანვარი 2019 წელი. ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 38-39.

არსებული მონაცემების სისწორე, განახორციელოს საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციების გადახდა, მოახდინოს საბაჟო საზღვარზე სქონლის შემოტანის დროს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, აიღოს საქონლის სინჯები ან ნიმუშები, განახორციელოს საქონლის ექსპერტიზა, ერთი საბაჟო რეჟიმი შეცვალოს მეორით, მოახდინოს საქონლის დროებით დასაწყობება, შეტანოს საჩივარი შესაბამის საბაჟო ორგანოში ან ზემდგომ საბაჟო ორგანოსა და სასამართლო ინსტანციაში, მიიღოს შესაბამისის ინფორმაცია საბაჟო ორგანოსაგან და ა.შ. "[15]

დეკლარანტს შეუძღუდავი უფლება აქვს მოითხოვოს საბაჟო ორგანოსაგან ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ საბაჟო ოპერაციებსა და პროცედურებზე. დეკლარანტს უფლება აქვს მოითხოვოს საბაჯო ორგანოსაგან ინფორმაცია მის მიერ მომავალში განსახორციელებელი საბაჟო პროცედურების შესახებ. მაგალიტად ინფორმაცია საქონლის კოდის, საბაჟო ღირებულების, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა საბაჟო რეჟიმებში საქონლის მოქცევის დეტალები.

დეკლარანტს უფლება აქვს მიიღოს საბაჟო ორგანოსაგან წერილობითი ინფორმაცია იმის სესახებ, თუ რატომ არ ეთანხმება ეს უკანასკნელი დეკლარანტის მიერ დეკლარირებულ საბაჟო ღირებულების ოდენობას, საქონლის კოდს, რაოდენობას, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრას და ა.შ. დეკლარანტის შეუვალი უფლებაა გასაჩივრების უფლება. მას უფლება აქვს გაასაჩივროს საბაჟო ორგანოს ქმედება ან უმოქმედება. საკითხის თავდაპირველი გასაჩივრება შეიძლება მოხდეს იმ საბაჟო ორგანოში, რომელმაც მიიღო შესაბამისი საბაჟო გადაწყვეტილება. დეკლარანტის განცხადებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში იგი შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ საბაჯო ორგანოში, ხოლო შემდეგ სასამართლო ინსტანციაში, სადაც დეკლარანტის მიერ საჩივრის შეტანამდე მისი განხილვა სათანადო საბაჟო ორგანოებში მიზანშეწონილია იმ ასპექტით, რომ საბაჟო ორგანომ შესაძლებელია ოპერატიულად დააკმაყოფილოს დეკლარანტის საჩივარი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

„ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დგინდება დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოში შეტანილი საჩივრის განხილვის გონივრული ვადები. ეს ვადები

[15] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.39

არ უნდა აჭიანურებდეს საკითხის განხილვის პროცედურას და ხელს არ უნდა უშლიდეს მეწარმეობის განვიტარებას. დეკლარანტს უფლებებთან ერთად გააჩნია მოვალეობები, რაც ასახვას პოვებს შესაბამის პასუხისმგებლობაში. საბაჟო კანონმდებლობა ადგენს ამ პასუხისმგებლობის ზომებს, რასაც საბაჟო სანქცია ეწოდება, გარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა. დეკლარანტის ვალდებულებებს შეადგენს საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში, მისი გადატვირთვა-გადმოტვირთვა საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე ან სატრანსპორტო საშუალებაში. საქონლის მიტანა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე, საქონლის გადაადგილების საბაჟო მარშრუტის დაცვა, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო ორგანოში შესაბამისი საბაჟო დოკუმენტაციის წრდგენა, საბაჯო დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარდგენა, საბაჟო გადასახდელების დაგენილ ვადაში გადახდა, საბაჟო სანქციის დადგენილ ვადაში აღსრულება, ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქონლის დაცვის ღონისძიებების გატარება და ა.შ.“[16]

საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს განახორციელოს საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ან სხვა საბაჟო პროცედურების განხორციელება წარმომადგენლის მეშვეობით. ამ ქცევას აქვს შესაბამისი მოტივაცია. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციის შევსება, საქონლის დათვალიერება და სათანადო საბაჟო პროცედურები მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას და ხარჯებს. ამდენად, „იმპორტიორები და ექსპორტიორები ამ პროცედურების განხორციელებას ანდობენ შესაბამის პირებს, რომლებსაც წარმომადგენლები ეწოდებათ. წარმომადგენელი ეროვნული კანონმდებლობის სესაბამისად შეიძლება იყოს ლიცენზირებული ან ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს. როგორც წესი წარმომადგენლის ფუნქციებს ანხორციელებენ საბაჟო ბროკერები, რომელიც ამ საქმეზე არიან სპეციალიზირებულები. წარმომადგენელი შესაბამისი საბაჟო ვალდებულებებიდან გამომდინარე ორ ჯგუფად იყოფიან: პირდაპირი და ირიბი.“[17]

---

[16] საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმზღვანელო. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ. 2015, გვ. 27

[17] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე : ბრძანება N457 : ქ. თბილისი, 19 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 3. გვ. 23.

- **პირდაპირია წარმომადგენელი,** რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს სხვა პირის სახელით და მისი დავალებით. შესაბამისად პირდაპირი წარმომადგენელი არ არის დეკლარანტი და მას არ გააჩნია საბაჟო ორგანოს წინაშე შესაბამისი საბაჟო ვალდებულებები. იგი გვევლინება მხოლოდ ფიზიკურ შუამავლას (კურიერად) საქონლის მესაკუთრეს (მფლობელსა) და საბაჟო ორგანოს შორის საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს. პირდაპირი წარმომადგენლის ყველა ქმედება განიხილება საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) ქმედებად და ყველა სათანადო პასუხისმგებლობა ეკისრება ამ უკანასკნელს.
- **ირიბია წარმომადგენელი** რომელიც მოქმედებს და საბაჟო დეკლარაციას წარადგენს თავისი სახელით და სხვა პირის ანუ საქონლის მესაკუთრის (მფლობელის) დავალებით. შესაბამისად ირიბი წარმომადგენელი არის დეკლარანტი და მას საბაჟო ორგანოს წინაშე გააჩნია იგივე საბაჟო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რაც ექნებოდა საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს), იმ შემთხვევაში თუ იგი თვითონ, უშუალოდ განახორციელებდა დეკლარირებას. ირიბ წარმომადგენელს აქვს აგრეთვე საბაჟო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობის დროს საჭიროე მოხდეს პირდაპირი და ირიბი წარმომადგენლის იდენტიფიკაცია, ანუ უნდა დადგინდეს მოცემული პირი რეალურად წარმოადგენს თუ არა მარწმუნებელს. ამისათვის საბაჟო ორგანოები ითხოვენ შესაბამის რწმუნებებს ანუ მინდობილობებს. პირდაპირი წარმომადგენლის რწმუნება გამოიხატება ამა თუ იმ პირისათვის მინდობილობის გაცემით მარწმუნებლის (საქონლის მესაკუთრე, მფლობელი) ბლანკზე ამ უკანასკნელის ხელმოწერით ან ბეჭდით დამოწმებით. „შესაძლებელია დადებულ იქნეს შესაბამისი ხელშეკრულება საბაჟო პროცედურების განხორციელების შესახებ პირდაპირ წარმომადგენელსა და საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) შორის, რაც ასევე წარმოადგენს მინდობილობის დოკუმენტს. ეაც შეეხება რწმუნების დადასტურებას მარწმუნებლისა და ირიბ წარმომადგენელს შორის, იგი შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების

სახით ან ნოტარიულად დამოწმებული სხვა ფორმებით. საქონლის მესაკუტრეს (მფლობელს) და წარმომადგენელს შორის მინდობილობა წამომადგენლობის სესახებ შეიძლება გაფორმდეს როგორც, ერთჯერადი ცალკეული საბაჟო პროცედურების განხორციელებისნ მიზნით, ასევე გენერალური-გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი საბაჟო პროცედურის განხორციელების მიზნით."[18]

ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო გადასახდელების გადახდის, ასევე სხვა ვალდებულება ირიბი წარმომადგენლობის დროს ეკისრება მხოლოდ ირიბ წარმომადგენელს, ხოლო სხვაგან-როგორც ირიბ წარმომადგენელს, ასევე საქონლის მესაკუთრეს (მფლობელს) სოლიდარულად. წარმომადგენელი უნდა იყოს ქვეყნის რეზიდენტი პირი. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც არარეზიდენტი პირი ახორციელებს საქონლის მოქცევას ტრანზირის და დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმში, ასევე დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების მიერ იმპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევა. ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია დაადგინოს სხვა შემთხვევებიც. წარმომადგენელს შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში აეკრძალოს წარმომადგენლის ფუნქციის განხორციელება. ეს ჩვეულებრივ ხორციელდება იმ შემთხვევებში, როდესაც:

- წარმომადგენელს უახლოეს გასულ პერიოდში აქვს სერიოზული საბაჟო სამართლდარღვევები;
- წარმომადგენელი არ ასრულებს მარწმუნებლის მიმართ შესაბამის ვალდებულებებს;
- წარმომადგენელი არ ასრულებს საბაჟო ორგანოს მიმართ შესაბამის ვალდებულებებს;
- წარმომადგენელი პერიოდულად იჩენს საბაჟო პროცედურების განხორცილებეის მიმართ გულგრილობას ან არღვევს საბაჟო წესებს;
- წარმომადგენელს ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული;

---

[18] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე : ბრძანება N457 : ქ. თბილისი, 19 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 3. გვ. 23.

წარმომადგენელს საბაჟო ორგანო წერილობითი ფორმით აცნობებს წარმომადგენლის ფუნქციის აკრძალვის შესახებ და აძლევს მას გარკვეულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მას არ შეუძლია წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება. დადგენილი ვადის გასვლის სემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება აღსდგეს წამომადგენლის ფუნქცია.

2.2. საბაჟო დეკლარაციის ფორმები, სახეები, წარდგენა, რეგისტრაცია, შესწორება და გამოთხოვა

საბაჟო დეკლარაცია არის დეკლარანტის განცხადება საქონლის რომელიმე საბაჟო რეჟიმში (საბაჟო დამუშავების ოპერაციაში) მოქცევის შესახებ. საქონლის საბაჟო დეკლარირება ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით, კერძოდ არსებობს დეკლარირების ოთხი ძირითადი ფორმა:

- წერილობითი;
- ელექტრონული;
- ზეპირი;
- კონკლუდენტური (ქცევითი);

„წერილობითი საბაჟო დეკლარირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ დადგენილი ფორმის სტანდარტის მეშვეობით. ამ ფორმით წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს გაეროს მიერ დადგენილ მინიმალურ ინფორმაციას. წერილობითი საბაჟო დეკლარაციები ცნობილია ორი ფორმით:

- ერთიანი სასაქონლო დეკლარაცია;
- ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი;“[19]

ერთიანი სასაქონლო დეკლარაცია პირველად გამოჩნდა 1990 წელს საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს (შემდგომში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია)

[19] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N450: ქ. თბილისი, 15 დეკემბერი 2017 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2018. N 2. გვ. 31-32.

რეკომენდაციებში. რაც შეეხება ერთიან ადმინისტრაციულ დოკუმენტს, როგორც საბაჟო დეკლარაციის სახეს, იგი ხმარებაში შევიდა 1988 წელს ევროკავშირში. ამასთან ერთიანმა ადმინისტრაციულმა დოკუმენტმა უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა, ვიდრე ერთიანმა სასაქონლო დეკლარაციამ. თავის მხრივ თანამედროვე საბაჟო დეკლარაციები წარმოადგენს ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის მოდიფიცირებულ ვერსიას. ეს დოკუმენტი შეიცავს დაახლოებით 55 საბაჟო რეკვიზიტს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ საბაჟო დეკლარაცია სედგება დაახლოებით 55 გრაფისაგან.

„წერილობითი საბაჟო დეკლარაციის ფორმები არ მიეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს და ამდენად ზოგიერთ ქვეყანაში მას ყიდიან კერძო პირები, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კერძო პირებს აქვთ საბაჟო ორგანოსაგან შესაბამის კომპიუტერულ სისტემაში დაშვების უფლება, რომელიც ამავე დროს იძლევა საბაჟო დეკლარაციის ამობეჭდვის უფლებას დადგენილი ფორმით და წესით. საბაჟო ორგანოები აწვდიან დეკლარანტებს საბაჟო დეკლარაციის სესაბამისი ფორმის ფურცლებს. ელექტრონული საბაჟო დეკლარაცია წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერული სისტემის მეშვეობით დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოსადმი მიწოდებულ ინფორმაციას. ამ დროს საბაჟო ორგანოს დეკლარაციის თანმხლები დოკუმენტები არ წარედგინება, თუმცა იგი წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე. დეკლარანტს უფლება აქვს საბაჟო დეკლარაციასტან ერთად ელექტრონულად წარადგინოს თანმხლები დოკუმენტები.“[20]

ელექტრონული დეკლარირების მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ ელექტრონულად გადაცემული ინფორმაცია უნდა იყოს სტანდარტიზებული და ჰარმონიზებული. ჯერჯერობით მსოფლიო საბაჟო სისტემაში ელექტრონულ დეკლარირებას მოკრძალებული პოზიციები უკავია და კვლავ დომინირებს წერილობითი საბაჟო დეკლარირების ფორმა.

ზეპირი დეკლარირება ხორციელდება მგზავრების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს, ამ შემთხვევაში მგზავრი ზეპირად განაცხადებს რომ მას არ ქვს დეკლარირებას საქვემდებარებული საგნები. თანამედროვე მსოფლიოში ზეპირი დეკლარირების ფორმა შეცვალა **კონკლუდენტურმა ფორმამ.** კერძოდ, კონკლიდენტური

[20] საბაჟო საქმის თეორია. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012.გვ.43

დეკლარირება ნიშნავს მოქმედებით (ქცევით) ანუ უტყვად შესრულებულ განცხადებას. მაგალითად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბაჟო საზღვრებზე არსებობს ე.წ. „წითელი“ და „მწვანე“ კორიდორები. იმ შემთხვევაში თუ მგზავრი შეგნებულად გადის „წითელ“ კორიდორს იგი ამით აცხადებს, რომ მას აქვს დეკლალრირებას დაქვემდებარებული საქონელი, ხოლო თუ „მწვანე“ კორიდორს გაივლის პირიქითაა, იგი აცხადებს, რომ მას არ აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი.

ზეპირი ან კონკლუდენტური საბაჟო დეკლარირებისას როდესაც ადგილი აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის არსებობას (იგულისხმება დაბეგვრას, ლიცენზირებას, ნებართვებს ან სხვა არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებული საქონელი), აუცილებლად მოსდევს წერილობითი საბაჟო დეკლარირება. საბაჟო დეკლარაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. ეს დამოკიდებულია საბაჟო დეკლარაციის ფუნქციონალურ თავისებურებასა და კონკრეტული ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაზე. პირის მიერ საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს წარდგენილ უნდა იქნეს ისეთი საბაჟო დეკლარაცია, რომელიც მოიცავს ამომწურავ, მრავალწახნაგვან ინფორმაციას ამ საქონელზე, რაც არ მოითხოვება მგზავრის მიერ წარდგენილი საბაჟო დეკლარაციისათვის ან საფოსტო გზავნილის დეკლარაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს საბაჟო დეკლარაციის შემდეგი სახეები:

- სასაქონლო ანუ სატვირთო საბაჟო დეკლარაცია;
- მგზავრის ანუ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;
- საფოსტო საბაჟო დეკლარაცია;

„სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო ორგანოს ჩვეულებრივი კომერციული დანიშნულების ტვირთების შემოატანა-გატანის დროს, ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში, ზოგიერთი საბაჟო დამუშავების ოპერაციების დროს წარედგინება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში სხდება უფრო გამარტივებული ტიპის დოკუმენტების წარდგენა, რომელიც საბაჟო დეკლარაციის ფუნქციას ასრულებს, თუმცა მოიცავს გაცილებით ნაკლებ მონაცემებს. მგზავრის ანუ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო ორგანოს იმ შემთხვევაში,

როდესაც მგზავრს გააჩნია კონკრეტული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული დასადეკლარირებელი საქონელი (საგნები). ასეთ საქონლად მიიჩნევა განსაზღვრული რაოდენობის და ღირებულების ნივთები, ფული, ფასიანი ქაღალდები, საგნები, რომლებსაც ჭირდება სპეციალური ნებართვა და სხვა. პირადი საგნები, რომლებიც აქვს მგზავრს და რომელსაც იგი იყენებს მგზავრობის დროს, არ ექვემდებარება დეკლარირებას, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ამ ნივთების რაოდენობა ან ღირებულება აჭარბებს დადგენილ პრამეტრებს ან მის გადაადგილებას ესაჭიროება ნებართვა."[21]

საფოსტო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო ორგანოებს დეკლარანტების მიერ. იგი მოიცავს უფრო ნაკლებ ინფორმაციას საქონლის შესახებ, ვიდრე სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია. როგორც წესი, საფოსტო დეკლარაციები წარედგინება მცირე ღირებულებების და რაოდენობის საქონლის იმპორტის და ექსპორტის დროს. ამასთან, თუ ამანათში მოთავსებულია საქონლის ღირებულება ან რაოდენობა აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ან ორივე ერთად. ამასთან საერთაშორისო წესებით დადგენილია, რომ საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დროს ხდება შემდეგი სახის საფოსტო დეკლარირების წარდგენა:

- საფოსტო დეკლარაცია - CN-22, რომლითაც ხორციელდება საფოსტო გზავნილში მოთავსებულუ საქონლის დეკლარირება;
- საფოსტო დეკლარაცია - CN-23, რომლითაც ხორციელდება გზავნილში მოთავსებული დოკუმენტების დეკლარირება;

საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება უფლებამოსილ საბაჟო ორგანოში დადგენილ ვადებში. საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადების დადგენა საქონლის შემოტანის დროს ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების სახის გათვალისწინებით. როგორც წესი, საზღვაო ტრანსპორტით საქონლის შემოტანის დროს საბაჟო დეკლარაცია უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს სასაზღვრო საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენიდან ანუ ამ საქონელზე შესაბამისი ინფორმაციის წარდგენიდან 45

[21] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ : ბრძანება N450 : ქ. თბილისი, 15 დეკემბერი 2017 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2018. N 2. გვ. 31-32.

კალენდარულ დღეში, ხოლო სხვა დანარჩენი სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში-20 კალენდარულ დღეში. საქონელზე ზოგადი ინფორმაციის წარდგენას ზოგჯერ ზოგად დეკლარირებასაც უწოდებენ.

საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს დეკლარანტმა. დეკლარაცია სტანდართული ფრომის დოკუმენტია და იგი მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საბაჟო რეჟიმი (დამუშავების ოპერაცია);
- დეკლარანტის სახელი და მისამართი;
- იმპორტიორის სახელი და მისამართი;
- გამომგზავნის სახელი და მისამართი;
- ტრანსპორტის სახე;
- სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია;
- საქონლის აღწერა;
- საქონლის სატარიფო კლასიფიკაცია ანუ სასაქონლო კოდი;
- წარმოშობის ქვეყანა;
- გამგზავნი, ანუ ექსპორტის ქვეყანა;
- დანიშნულების ქვეყანა;
- შეფუთვის აღწერილობა (ნომერი, ხასიათი, მარკირება);
- საქონლის რაოდენობა, ბრუტო და ნეტო წონა;
- საბაჟო გადასახდელების განაკვეთები;
- საბაჟო ღირებულება და ღირებულება აბგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) მიხედვით;
- ვალუტის კურსი;
- დაბეგვრის ზომის ერთეული
- მიწოდების პირობები;
- პრეფერენციები;
- თანმხლები დოკუმენტები;
- დეკლარანტის ხელმოწერა, ადგილი და თარიღი;

საბაჟო დეკლარაციის შესაბამისი შემოწმება ხორციელდება მისის რეგისტრაციის შემდეგ, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ ხდება საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, ხოლო

შემდეგ-რეგისტრაცია. **საბაჟო დეკლარაციების შემოწმება** ხორციელდება რისკის ფაქტორების ანალიზიდან გამომდინარე, რამდენადაც შეუძლებელია მილიონობით საბაჟო დეკლარაციის ნაკადის კონტროლი. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დროს საბაჟო ორგანო ამოწმებს შემდეგ უმთავრეს პარამეტრებს:

- საქონლის დასახელებისა და სასაქონლო კოდის შესაბამისობა;
- საბაჟო გადასახდელების განაკვეთების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- საქონლის რაოდენობის, საბაჟო ღირებულებების და წარმოშობის ქვეყნის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტებთან;
- თანმხლები დოკუმენტების აუთენტურობა და ნამდვილობა;
- საბაჟო რეჟიმის გამოყენების სესაძლებლობა;

„საბაჟო დეკლარაციის შესწორება ხორციელდება დეკლარანტის მოთხოვნით იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტმა აღმოაჩინა დაშვებული შეცდომები. შეცდომა შეიძლება იყოს როგორც მექანიკური ხასიათის, ისევე სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე. შეცდომა შეიძლება აღმოაჩინოს საბაჟო ორგანომაც და მიმართოს დეკლარანტს საბაჟო დეკლარაციის შესწორების მოთხოვნით. საბაჟო დეკლარაციის ცვლილება ხორციელდება საქონლის გაშვების სემდეგაც, საბაჟო დეკლარაციის სემოწმებამდე (ზოგჯერ საქონლის გაშვება ხდება წინასწარ საბაჟო დეკლარაციის შემოწმებამდე). ამ შემთხვევაშიც კი თუ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთებული არგუმენტები საბაჟო ორგანო ნებას რთავს დეკლარანტმა განახორციელოს სათანადო კორექტირება. საბაჟო ორგანო დეკლარანტს უფლებას აძლევს შეცვალოდ საბაჟო დეკლარაციის ის თანმხლები დოკუმენტებიც, რომელიც შეცდომით დაერთო ამ დეკლარაციას. რაც შეეხება თანმხლებ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას, ამის უფლება დეკლარანტს არ აქვს. საბაჟო დეკლარაციის კორექტირება ხორციელდება მისი შემოწმების დაწყების სემდეგაც, თუ არსებობს დეკლარანტის მხრიდან დასაბუთებული მიზეზები და საბაჟო ორგანო აღიარებს მას.

ცვლილებების განხორციელება არ გამორიცხავს დეკლარანტის დაჯარიმებას ადმინისტრაციული წესით.“[22]

დეკლარანტს უფლება აქვს გამოითხოვოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვებამდე. საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც საქონელი დეკლარირებული იქნა შეცდომით სხვა საბაჟო რეჟიმში;
- როდესაც საქონელმა გამოიცვალა მფლობელი საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს, ხოლო ახალი მფლობელი ირჩევს სხვა საბაჟო რეჟიმს.

საბაჟო დეკლარაციის გამოთხოვა არ ათავისუფლებს დეკლარანტს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმებისაგან, თუ საბაჟო დეკლარაციაში აღმოჩენილ იქნა სათანადო დარღვევები. ზოგიერთი ქვეყანა საბაჟო დეკლარაციას განიხილავს, როგორც ადმინისტრაციულ აქტს და მის მიმართ არა გამოთხოვის მექანიზმს, არამედ ადმინისტრაციული აქტის მიმართ გამოსაყენებლ მექანიზმებს.

„დამატებით რა დოკუმენტების წარდგენაა საჭირო სასაქონლო დეკლარაციაზე?

სატრანსპორტო დოკუმენტი:

საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები (CMR) ან TIR-წიგნაკი;

- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი;
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები;
- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები;

საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი:

საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება ან ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი. დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი – დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ

[22] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N450: ქ. თბილისი, 15 დეკემბერი 2017 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2018. N 2. გვ. 31-32.

საქონელზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ნებართვა ან/და ლიცენზია ან/და სერტიფიკატი ან/და სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.“[23]

უფლებამოსილი ექსპორტიორი-„სტატუსი ექსპორტიორ კომპანიას აძლევს უფლებამოსილებას თავად შეადგინოს საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი - „წარმოშობის დეკლარაცია“. სტატუსით სარგებლობა შესაძლებელია: ქართული პრეფერენციული წარმოშობის საქონლის ექსპორტისას ევროკავშირის ქვეყნებში („ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ (2014 წლის 27 ივნისი) ფარგლებში (შეთანხმების ტექნიკური ნაწილი - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA) ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრიდან) ქართული პრეფერენციული წარმოშობის საქონლის ექსპორტისას თურქეთის რესპუბლიკაში („საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების ფარგლებში) ქართული პრეფერენციული წარმოშობის საქონლის ექსპორტისას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებში (იგივე „EFTA“ სახელმწიფოები: ისლანდია, ლიხტენშტაინის სამთავრო, ნორვეგიის სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია) („ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმების ფარგლებში) უფლებამოსილ ექსპორტიორს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული პრეფერენციული რეჟიმით, მის მიერვე შედგენილი „წარმოშობის დეკლარაციის“ საფუძველზე და შესაბამისად, არ აიღოს წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 ყოველი ექსპორტის განხორციელებისას.“[24]

[23] https://www.rs.ge/4987 შემოსავლების სამსახური. გადამოწმებულია 15.08.2020

[24] https://www.rs.ge/6348 შემოსავლების სამსახური. გადამოწმებულია 15.08.2020

თავი III

საქონლის საბაჟო ღირებულება და დარღვევები

3.1. საბაჟო ღირებულების დეკლარირება და საბაჟო კონტროლი

„საბაჟო ურთიერთობების დროს საბაჟო პროცედურებს შორის ყველაზე რთული საკითხი არის კონკრეტული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ზოგჯერ ამ თემას უწოდებენ საჯილდაო ქვას საბაჟო ორგანოსა და ბიზნესს შორის. საბაჟო ღირებულება არის საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტისათვის ამ საქონელზე იმპორტიორის მიერ რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი. ამ ფასში შედის როგორც საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის იმ ადგილიდან საიდანაც მოხდა საქონლის რეალიზაცია- იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე, ხოლო ექსპორტის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს-საკუთრივ საქონლის ფასი, ასევე ყველა ის მიმოქცევის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის მიტანასთან ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვართან. ამ შემთხვევაში საბაჟო საზღვარში იგულისხმება არა რეალური საბაჟო საზღვარი, რომელიც ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს, არამედ ვირტუალური საბაჟო საზღვარი, რომელიც ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის შიგნით მდებარეობს (სასაზღვრო საბაჟო ორგანოს ფიზიკური განლაგების ადგილი).“[25]

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა განზითარებადი ქვეყნების პრობლემაა, სადაც საბაჟო ღირებულებაზე დაუსრულებლად შეიძლება იკამათო. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრობლემებზე მსჯელობა ზედმეტია. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის ეს პრობლემა აქტუალურია.

---

[25] "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: ბრძანება N446 ქ. თბილისი, 7 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 2. გვ. 20-23.

„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბაჟო ღირებულების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის მოპოვების გამო შეინიშნება შემოსავლების დანაკარგი. ამის გამო ისინი მოითხოვენ საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, მათ შორის იგულისხმება საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის უშუალოდ, რათა მოხდეს დეკლარირებული ღირებულების შემოწმება.“[26]

უნდა აღინის რომ, რომ საქონლის საექსპორტო ღირებულება არ უნდა იყოს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველი, რადგან სექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაცია ხშირად მწირია და ბევრ ქვეყანაში არ ხდება ამ მონაცემთა სისტემური კონტროლი და შემოწმება. საბაჟო ღირებულების სისტემაში ხშირია გაყალბება, რის გამოც საბაჟოს ენიჭება მისი კონტროლისათვის შესაბამისი ძალაუფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ღირებულების წარმატებული კონტროლისათვის აუცილებელია საბაჟო ადმინისტრაციების რეფორმები და მოდერნიზაცია. საბაჟო ადმინისტრაციები უნდა ეყრდნობოდნენ კონტროლის მექანიზმს, აუდიტის სისტემებს, რაც ფუნდამენტალურია საბაჟო ღირებულებების საკონტროლო რეჟიმის გაუმჯობესებისათვის.

საბაჟო ღირებულების არსიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს საბაჟო ღირებულების დადგენის პრინციპები არ უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ორგანოს მიერ დემპინგური ფასის წინააღმდეგ, ამ ფასის აწევის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო პრაქტიკაში განსაზღვრული წესით დადგენილია საქონლის იმპორტის ფაქტი მოცემულ ქვეყანაში დემპინგური, ანუ ხელოვნურად შემცირებული ფასებით, მაშინ საბაჟო ორგანო იყენებს არა საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესაბამის მეთოდებს, არამედ ანტიდემპინგურ საბაჟო

[26] "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N 386: ქ. თბილისი, 15 იანვარი 2019 წელი. ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 38-39.

გადასახადს, რომელიც მაღლა წევს ამ საქონლის სარეალიზაციო გასს იმპორტიორი ქვეყნის შიდა ბაზარზე. ქმედებაშია საბაჟო ღირებულების შემდეგი ფუნქციები:

- ფისკალური ფუნქცია;
- სავალუტო კონტროლის ფუნქცია;
- არასატარიფო ღონისძიებების კონტროლის ფუნქცია;
- საგარეო სავაჭრო ბალანსის ფორმირების ფუნქცია;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია;

„საბაჟო ღირებულების უპირველესი ფუნქცია არის **ფისკალური** მიზნების განხორციელების შესაბამისი ადვალური ბაზის შექმნა, კერძოდ, სწორად გაანგარიშებული საბაჟო ღირებულება არის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. როგორც წესი, არაპირდაპირი გადასახადების (საბაჟო გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი) აკრეფა იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილ საქონელზე ხდება საბაჟო ორგანოების მიერ. ეს გადასახადები ძირითადად ადვალური ხასიათისაა და დაკავშირებულია საბაჟო ღირებულების განსაზღვრასთან. ამდენად საგადასახადო ბაზის ზრდა საბაჟო ღირებულების შემცირების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გზით განაპირობებს შესაბამის ფისკალურ ეფექტს.“[27] აღნიშნული ფისკალური ეფექტი დამოკიდებულია ჩათლილი და ჩაუთვლელი გადასახადების, მოგების ან ზოგიერთ ქვეყანაში საშემოსავლო (კორპორაციული) გადასახადებისა და საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანაფარდობაზე, როგორც წესი, საბოლოო ჯამში ფისკალური ეფექტი უფრო მაღალია გაზრდილი საბაჟო ღირებულების შემთხვევაში.

საბაჟო ღირებულების მნიშვნელოვანი ფუნქციაა **სავალუტო კონტროლის** განხორციელების დროს რეალური ღირებულებითი მონაცემების ბაზის ფორმირება. ექსპორტ-იმპორტის დროს სავალუტო თანხების ნაკადების მოძრაობა ყოველთვის დაკავშირებულია ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის რეალურ საბაჟო ღირებულებასთან. აქედან გამომდინარე საექსპორტო ამონაგების ან საიმპორტო

[27] "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" ბრძანება N 1329 ქ. თბილისი, 25 იანვარი 2019 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 40.

თანხების სიდიდის განსაზღვრისათვის საბაჟო ღირებულების სწორ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„საბაჟო ღირებულების ერთ-ერთ ფუნქციად განიხილება ისეთი **არასატარიფო ღონისძიების განხორციელების მექანიზმის** კონტროლი, როგორიც არის საქონლის იმპორტის კვოტირება. იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ქვეყანას შორის ხორციელდება გარკვეული სახის და განსაზღვრული ღირებულების საქონლის კვოტირება ანუ ღირებულებითი შეზღუდვა, მაშინ ღირებულების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს დადგენილი კვოტის ფარგლების დაცვის თვალსაზრისით. მაგალითად ვთქვათ შეთანხმებულია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის ვაჭრობის დროს ჩინეთიდან საფეიქრო ნაწარმის ექსპორტმა და შესაბამისად, აშშ-ში იმპორტმა არ უნდა გადააჭარბოს წელიწადში 500 მილიონ აშშ $-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში კვოტას გადაცილებული საქონელი არ იქნება შეშვებული აშშ-ს საბაჟო ტერიტორიაზე ან მასზე იქნება გადასახდელი იმ ოდენობის საბაჟო გადასახადი, რომელიც არაკონკურენტუნარიანს გახდის მას აშშ-ს ბაზარზე. ამდენად ამ თვალსაზრისიტაც მნიშვნელოვანია საბაჟო ღირებულების სწორი განსაზღვრა.“[28]

ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის (რაც თავის მხრივ საგარეო საგადასახდელო ბალანსის შემადგენელი ნაწილია) გაანგარიშება და ფორმირება პირდაპირ არის დაკავშირებული ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელთა საბაჟო ღირებულებებთან, კერძოდ, რეალური ექსპორტ-იმპორტის სალდოს განსაზღვრა ეყრდნობა საქონელთა მოძრაობის სწორად განსაზღვრულ ღირებულებით მონაცემებს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

„შავი ფულის გათეთრების“ მრავალ ფორმათაგან ერთ-ერთად მოიაზრება საქონლის იმპორტის ან ექსპორტის დროს საბაჟო ღირებულების შეგნებულად მრავაჯერადი ზრდა იმ ზომით, რომლის დროსაც იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი გადასახადების თანხა შესაბამისი ფულის ლეგალიზაციით მიღებულ თანხაზე ნაკლებია (ოფშორის

[28] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე : ბრძანება N457: ქ. თბილისი, 19 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 3. გვ. 23.

შემთხვევაში საერთოდ ნულის ტოლია). ხოლო ექსპორტის დროი ინვოისში ან საბაჟო დეკლარაციაში ნაჩვენები საქონლის ღირებულების სახით ამონაგები თანხები „ღირს“ შემოსავლების სახით ამ თანხებზე გადახდილ გადასახადებად. მაგალითად საქართველოს რეზიდენტ ოფშორულ კომპანიას აქვს შვილობილი კომპანია ინდოეთში და სესაბამისად ოფშორულ ბანკში აქვს „შავი ფული“. ამ შემთხვევაში ოფშორული კომპანია ყიდულობს ინდოეთიდან (შვილობილი კომპანიიდან) გარკვეულ სქონელს და კონტრაქტის მიხედვით იხდის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე 50-ჯერ მეტ თანხას თუ ექსპორტიორი ქვეყნის (ინდოეთის) საბაჟო ორგანო, ფისკალური მიზნებიდან გამომდინარე, დაეთანხმება წარმოდგენილ, ანუ 50-ჯერ გაზრდილ საბაჟო ღირებულებას, მაშინ განხორციელდება ფულის გათეთრება, რომლის ფასიც იქნება შვილობილი კომპანიის მიერ გადასახდელი შესაბამისი მოგების, თუ სასემოსავლო გადასახადების თანხა.“[29]

საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და ასევე მისი სისწორის დადგენა ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით, ესენია:

- გარიგების ფასის მეთოდი;
- იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
- მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდი;
- საქონლის ერთეული ფასის მეთოდი;
- საქონლის შედგენილი ღირებულების მეთოდი;
- სარეზერვო მეთოდი.

ზემოაღნიშნული მეთოდები გამოიყენება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს თანმიმდევრულად ანუ რიგითობის დაცვით. „გამონაკლისს წარმოადგენს ერთეულის ფასისა და შედგენილი ღირებულების მეთოდების რიგითობა, რაც დაკავშირებულია შედგენილი ღირებულების მეთოდით საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სპეციფიკასთან. თუ დეკლარანტი და ექსპორტიორი როგორც წესი ურთიერთდაკავშირებული პირებია, მაშინ დეკლარანტს შეუძლია საბაჟო ორგანოს

[29] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ : ბრძანება N450 : ქ. თბილისი, 15 დეკემბერი 2017 წელი. გადასახადები და აღრიცხვა : საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2018. N 2. გვ. 31-32.

წარუდგინოს შესაბამისი კონფიდენციალური დოკუმენტები, რომელიც ასახავს საქონლის კალკულაციურ ღირებულებას. საბაჟო ღირებულებას, როგორც წესი განსაზღვრავს დეკლარანტი. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მიზეზების გამო საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარანტის მიერ განსაზღვრულ საბაჟო ღირებულებას, მაშინ საბაჟო ორგანო საზღვარვს მას და ახდენს მის კორექტირებას. საბაჟო ღირებულების კორექტირება შეუძლია დეკლარანტსაც. სხვადასხვა ქვეყნებში კორექტირების სხვადასხვა წესები არსებობს, რომელიც ძირითადად საბაჟო დეკლარაციის კორექტირებასთან არის დაკავშირებული."[30]

3.2. საბაჟო სამართალდღვევის ფაქტები საქართველოს საზღვრებზე

საბაჟო სამართალდარღვევა არის პირის ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს საბაჟო კანონმდებლობის ნორმატა შეუსრულებლობას. საბაჟო სამართალდარღვევა ორი სახის არის: ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა შემოიფარგლება ადმინისტრაციული სანცქციებით, რაც გამოიხატება ჯარიმებით, საურავებით და საქონლის ან სატრანსპორტო სასუალებათა ჩამორთმევით, ხოლო სისხლის სამართლის საბაჟო სამართალდარღვევა ანუ დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

ადმინისტრაციული საბაჟო სამართალდარღვევის დროს საბაჟო ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს ადექვატური საბაჟო სანქცია (საბაჟო სანცია არის პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა, მაგ. ჯარიმა) ან დაარეგულიროს პროცესი კომპრომისის საფუძველზე. კომპრომისი ნიშნავს იმ ფაქტს, როდესაც საბაჟო ორგანო არ იყენებს საბაჟო სამართალდამრღვევ ი პირის მიმართ შესაბამის პროცესუალურ მოქმედებებს (მაგ. საქონლის დაყადაღება ან დაკავება), იმ პირობით თუ პირი შეასრულებს განსაზღვრულ ვალდებულებებს (მაგ. საბაჟო გარანტიის წარმოდგენა).

[30] მარკეტინგული კონტროლის როლი საბაჟო მართვის სისტემაში / გიორგი ხაბურზანია ; ხელმძღვანელი: კახაბერ ჯაყელი. ეკონომიკა : ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2018. N 4-5. გვ. 174–183.

ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება ის ფაქტორები და ობიექტები, რომელიც განეკუთვნება ადმინისტრაციული რეგულირების სფეროს და ემიჯნება სისხლის სამართლის საბაჟო სამართალდარღვევის ობიექტებს. პირის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის დროს საბაჟო ორგანო აცნობებს მას მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისა და შესაბამისი სანქციების შესახებ. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს ან დააკავოს საბაჟო სამართალდარღვევის საგანი საქონლისა ან სატრანსპორტო საშუალებების სახით მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება კონფისკაციას, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასამართლოს წესით;
- საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულ უნდა იქნეს საგამოძიებო მოქმედებების დროს ნივთიერი მტკიცებულეების სახით;

საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების დაყადაღების ან დაკავების დროს საბაჟო ორგანო შესაბამის დაინტერესებულ პირს (დეკლარანტს, გადამზიდავს) წარუდგენს დოკუმენტს, სადაც მოცემული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საბაჟო სამართალდართვევის საგნის აღწერა და რაოდენობა;
- დაყადაღების ან დაკავების მიზეზები;
- სამართალდარღვევის სახე.

დაყადაღებული საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება შეიძლება გაშვებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის განკუთვნილი ნივთიერი მტკიცებულებებისათვის და ამასთან, საბაჟო ორგანოში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბაჟო გარანტია. საბაჟო სამართალდარღვევის დროს საბაჟო ორგანო ათავისუფლებს სატრანსპორტო საშუალებას დატადაღებისა ან დაკავებისაგან იმ შემთხვევაში, თუ:

- სატრანსპორტო საშუალება არ იყო წინასწარ ისეთნაირად კონსტურირებული ან გადაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;
- სატრანსპორტო საშუალება არ არის საჭირო გამოყენებულ იქნეს გამოძიების დროს ნივთიერი მტკიცებულებებისათვის;
- წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბაჟო გარანტია;

სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო სამართალდარღვევის დროს ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით, შეიძლება კოფისკებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრე ან მფლობელი არის საბაჟო სამართალრღვევის თანამონაწილე ან გაცნობიერებული იყო სამართალდარღვევის ჩადენაში ან არ გამოიყენა საბაჟო სამართალდარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებები;
- სატრანსპორტო საშუალება წინასწარ იყო ისეთნაირად კონსტრუირებული ან გადაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;
- შეუძლებელია იმ სატრანსპორტო სასუალების აღდგენა, რომელიც წინასწარ იყო ისეთნაირად კონსტრუირებული ან გადაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა კონტრაბანდული საქონლის შემოტანა;

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოახდინოს ყადაღადადებული ან დაკავებული საქონლის რეალიზაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება ამ საქონლის კონფისკაციის სესახებ ან იგი გადაცემული იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საქონელი განეკუთვნება მალფუჭად კატეგორიას. ამ უკანასკნელის სემთხვევაში საბაჟო ორგანო ახდენს საქონლის რეალიზაციას მიუხედავად კონფისკაციის სესახებ არსებული გადაწყვეტილებისა. თუ საქონელი არ არის კონფისკებული, მაგრამ საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციის უზრუნველყოფისათვის საჭიროა დაყადაღებული ან დაკავებული საქონლის რეალიზაცია, მაშინ რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან ანაზღაურდება საბაჟო გადასახდელებისა და საბაჟო სანქციის თანხები, ხოლო დარჩენილი თანხები უნდა დაუბრუნდეს შესაბამის უფლებამოსილ პირს, ან თუ ეს ვერ ხერხდება იმ მომენტში, მაშინ შესაბამისი თანხები საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით უნდა იქნეს შენახული ამ პირისათვის გადასაცემად.

- ადმინისტრაციული საბაჟო სამართალდარღვევის შესაბამისი სანქციები წესდება ამ სამართალდარღვევის ხასიათის (სიმსუბუქე, სიმძიმე) ან სამართალდამრღვევი

პირის ბიჰევიორისტული მოქმედების შედეგად. მაგალითად: დადგენილ ვადაში საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო დეკლარაციის წარუდგენლობა იწვევს ჯარიმას 500 ევროს ოდენობით, ხოლო თუ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პირმა განმეორებით ჩაიდინა იგივე სამართალდარღვევა, მაშინ მისი ქცევა დაჯარიმდება ორჯერ მეტი სანქციით 1000 ევროთი.

- მეორე შემთხვევა: საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო საშუალებაზე თვითნებურად იქნა მოცილებული საიდენტიფიკაციო საშუალებები (პლომბი და სხვ.) ამ შემთხვევაში სამართალდარღვევის ხასიათი გაცილებით მძიმეა და პრევენციის მიზნით შესაბამისი სანქცია შეიძლება იყოს 10 000 ევრო, ხოლო განმეორების შემთხვევაში 20 000 ევრო.

საბაჟო სამართალდარღვევის ობიქტების რეგულაციის გარდა საბაჟო ორგანოს უფლება აქვს ადმინისტრაციული ღონისძიებები გაატაროს საბაჟო სამართალდარღვევის სუბიექტის მიმართ. მაგალითად: საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განსაზღვრულ აუცილებელ შემთხვევებში დააპატიმროს სამართალდამრღვევი პირი გარკვეული ვადით. მ ვადის გასვლის სემდეგ პირის დაპატიმრების (დაკავების) სანქციას იძლევა სასამართლო. საბაჟო სამართალდარღვევად არ ითვლება ფორსმაჟორული სიტუაციების სედეგად საბაჟო კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. გამონაკლისს წარმოადგენს საქონლის ან სატრანსპორტო სასუალების ქურდობა ან ძარცვა-ყაჩაღობა.

საბაჟო სამართალდარვევის საფიქსირება საბაჟო ორგანოების მიერ ხორციელდება შესაბამის დოკუმენტებში, რომელიც, როგორც წესი ოქმის სახით დინდება. ოქმში მიეთითება ძირიტადი რეკვიზიტები, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საბაჟო სამართალდარღვევის იდენტიფიცირებისას და შესაბამისი საბაჟო სანქციის აღსრულებისათვის. ეს რეკვიზიტებია: შედგენის დრო, შემდგენელი საბაჟო ორგანო, ოქმის უშუალო შემდგენელი და სამართალდარღვევის გამოვლენი, სამართალდარღვევის რეკვიზიტები, სამართალდარღვევის სახე, სანქციის სახე, სანქციის (მათ შორის ჯარიმის თანხის) შესრულების (გადახდის) ვადა, სამართალდამრღვევის, მოწმეების, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერები.

საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის და საბაჟო სანქციის აღსრულების პროცესუალური საკითხები დგნდება ეროვნული კანონმდებლობით. საბაჟო სანქციის აღსრულების წესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ ძირითად პრინციპებს.

საბაჟო ურთიერთობების დასარეგულირებლად მსოფლიო მასშტაბით არაერთი საერთაშორისო კონვენცია მოქმედებს, მათ შორისაა:

- „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო პროცედურების განარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ (კიოტო, 1973 წლის 18 მაისი. განახლებულია 2006 წლის 3 თებერვალს);
- „თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუსი“ (ბარსელონა, 1921 წლის 20 აპრილი);
- „კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია“ (ჟენევა, 1972 წლის 2 დეკემბერი)
- „საერთაშორისო კონვენცია საზღვარზე ტვირთის კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“ (ჟენევა, 1982 წლის 21 ოქტომბერი)
- „1994 წლის გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერლური შეთანხმების მე-6 მუხლის გამოყენებაზე“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების სესახებ“ (ვაჭრობის მოსფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);

- „შეთანხმება გადაზიდვისწინა ინსპექციის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმების მე-7 მუხლის განხორციელების შესახებ“ (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონვენცია);
- „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო საკითხებში ორმხრივი ადმინისტრაციული დახმარების სესახებ“ (ბრიუსელი, 2003 წლის 27 ივნისი. განახლებულია იოჰანესბურგის კონვენციით);
- „საერთაშორისო კონვენცია საბაჟო ადმინსტრაციული ურთიერთდახმარების გაწევის შესახებ საბჟო სამართალდარღვევების აღკვეთისა და გამოძიების სფეროში“ (ნაირობი, 1997 წლის 3 ივნისი);
- „საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ (ბრიუსელი, 1983 წლის 14 ივნისი) და ა.შ.

„საქართველოს მთავრობამ „საბაჟო კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადა, რომლითაც რამდენიმე საკანონმდებლო რეგულაციის ამოქმედების ვადის გადაწევა იგეგმება. ცვლილებები ტექნიკურია და კანონპროექტის თანახმად, იცვლება საბაჟოზე რამდენიმე რეგულაციის განხორციელების ვადები. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის გათვალისწინებით, იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ასევე ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების პირადი სარგებლობისთვის საცალო წესით შესაძლებელი იქნება, რეალიზებული იყოს, არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე, უცხოური საქონელი სატარიფო

ან საქართველოს საქონელი 2022 წლის პირველ იანვრამდე ნაცვლად, 2021 წლის პირველი იანვრისა. ამასთან, ცვლილებებით, „ოქროს სიაში“ შეყვანით პირს 2022 წლის პირველ იანვრამდე მიენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით 2021 წლის პირველი იანვრის ნაცვლად. ასევე, პროექტით მიხედვით, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში, საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა, მიიჩნევა საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად 2022 წლის პირველ იანვრამდე, ნაცვლად არსებული 2020 წლის პირველი სექტემბრის. პროექტი, ასევე ითვალისწინებს საბაჟო ორგანოსთვის საქონლის გატანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენისგან განთავისუფლების გადაწევას 2022 წლის პირველ იანვრამდე, ნაცვლად 2020 წლის პირველი სექტემბრის.“[31]

საქართველოში არაერთი „გაფორმების ეკონომიკური ზონაა“ („გეზ“-ი) ისინი განთავსებულია თბილისში, ბათუმსა და ფოთში, აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და ელექტრონული საშუალებებით, სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომით ასეულობით სატვირთო ავტომანქანაზე. ესაა სპეციალური სივრცეები, სადც საბაჟო დეკლარაციის შევსება, ტვირთის გაფორმება, დათვალიერება და ექსპერტიზის ჩატარება შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია საქონელი მოაქციოთ შემდეგ სასაქონლო ოპერაციებში: იმპორტი, ექსპორტი, საწყობი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანა, საქონლის შიდა გადამუშავება, საქონლის გარე გადამუშავება და ტრანზიტი, თავისუფალი ზონა. შესაძლებელია სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებულ ტვირთებზე საბაჟო დეკლარაციის შევსება და გაფორმება. შეგიძლიათ გააფორმოთ ტვირთი

[31] მთავრობამ „საბაჟო კოდექსში“ საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადა, რომლითაც რამდენიმე რეგულაციის ამოქმედება გადაიწევს.
https://imedinews.ge/ge/ekonomika/157746/mtavrobam-sabajo-kodeqsshi-sakanonmdeblo-tsvlilebebi-moamzada-romlitatsramdenimeregulatsiisamoqmedebagadaitsevs?fbclid=IwAR1z3PexFvHNVszaJcVzvwFZ4-JfTJ9J_VzAEuhRV876gWwdvHdS_A6ScDo
11.08.2020 გადამოწმებულია 11.08.2020

ელექტრონულად, გაფორმების სამმართველოში მოუსვლელად შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე დოკუმენტების ატვირთვით და გადაიხადოთ მომსახურების საფასური თქვენთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილზე.

გაფორმების ეკონომიკური ზონები საქართველოში:

- ✔ გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) - თბილისი;
- ✔ გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) - ბათუმი;
- ✔ გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) - ფოთი;
- ✔ გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) - აეროპორტი;
- ✔ გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ) - თბილისი 2.

გაფორმების განყოფილება

- ✔ თელავის განყოფილება;
- ✔ ახალციხის განყოფილება;
- ✔ ქუთაისის განყოფილება;
- ✔ რუსთავის განყოფილება.[32]

საქართველოს საზღვრებზე საბაჟო სამართალდღვევის ფაქტების შესწავლისას ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია კონკრეტული ფაქტების შესახებ. საქართველოს საბაჟოები ხშირად ხდება კონტრაბანდისტების შემოტევის სამიზნე, ამისათვის ისინი უამრავ ხერხს და ხრიკებს მიმართავენ რათა თავიანთი ზრახვები სისრულეში მოიყვანონ. კონტრაბანდისტებზე დაკისრებული ჯარიმების სტატისტიკას თუ გადავხედავთ შესაძლებელია გარკვეული შეხედულების ჩამოყალიბება თუ რომელი მეზობელი ქვეყნიდან რომელი კონტრაბანდული საქონლის შემოტანის რისკი არსებობს.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კონტრაბანდისთვის განკუთვნილ საქონელს წარმოადგენს **სიგარეტი რომლის კონტრაბანდაც** განსაკუთრებით მიმზიდველია მეზობელ სახელმწიფოში მისი დაბალი ფასის გამო და შესაბამისად ჩვენთან მაღალი ფასის გამო რაც უბიძგებს მათ გასწიონ რისკი. სიგარეტის კონტრაბანდისას ბევრ ხერხს მიმართავენ მალავენ როგორც ავტომობილებში მოწყობილ სპეციალურ სამალავებში

[32] https://www.rs.ge/4785 გადამოწმებულია 11.08.2020

ასევე სხეულზე და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებში, როგორი მრავალფეროვანიც კონტრაბანდისტერბის ფანტაზიაა, ასევე მასთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს მივმართავთ, ვიყენებთ როგორც გამოცდილებიდან ჩამოყალიბებულ უნარჩვევებს ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და სიგარეტის კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლ ოთხფეხა მეგობრებს, ძაღლებს. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ კონტრაბანდული საქონელი მაინც ხვდება ბაზარზე სხვადასხვა გზებით და მასთან საბრძოლველად მარტო საბაჟო არა საკმარისი რასაც მოწმობს სხვადასხვა ევროპული ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ სიგარეტის კონტრაბანდის საბაჟოზე აღმოჩენილი შემთხვევების და გამოვლენილი სქემების პროცენტული წილი ძალიან სუსტად გამოიყურება საერთოდ კონტრაბანდული სიგარეტის ბრუნვასთან. ხშირად კონტრაბანდისტები არ ითვალისწინებენ ერთი შეხედვით მათთვის თითქოსდა უმნიშვნელო გარემოებებს რაც მათთვის დამღუპველი აღმოჩნდება ხოლმე კერძოდ მოგითხრობთ ერთ ერთი სამართალდარღვევის შესახებ.

კონკრეტული მაგალითი 1: მცირე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილი მაცივარი გარკვეული ინტენსივობით გადაადგილდებოდა სომხეთიდან საქართველოს გავლით და შემდეგ გემით ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მიმართულებით. ერთი ასეთი მარშრუტის დროს ყურადღება მიიპყრო ავტომობილ მაცივარში განთავსერბულმა მეორადი მოხმარების ბილიარდის მაგიდამ რომელიც ფიქსირდებოდა დოკუმენტებში და ჰქონდა საკმაოდ დაბალი ღირებულება და უნდა ჩაეტანათ გერმანიაში. მებაჟე ოფიცრებს გაუჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი რომ ავტომობილი გარდა აღნიშნულისა შესაძლოა გდაადგილებდა არა დეკლარირებულ საქონელსაც. ეჭვის საფუძველზე დაიგემა ავტომობილის დეტალური დათვალიერება შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, აღმოჩენილმა მოლოდინს გადააჭარბა, სატვირთო მაცივარში, მაცივრისთვის დამახასიათებელი ტემპერატურის შასანარჩუნებელი საიზოლაციო მასალის ნაცვლად მთლიანი მაცივრის შიგთავსს წარმოადგენდა ჩაწყობილი სიგარეტის ბლოკების რამდენიმე ასეული, რაც თავისთავად რამდენიმე ათს კოლოფს გულისხმობს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კონტრაბანდული აქციზური საქონლის ღირებულება 2000 ლარზე ზემოთ ითვალისწინებს სისხლის სამართლის დანაშაულს, საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

კონკრეტული მაგალითი 2: კონტრაბანდისტების ერთ-ერთ პოპულარულ მიმართულებას წარმოადგენს ძვირფასი ლითონების საბაჟო წესების გვერდის ავლით საქართველოში შემოტანა, როგორც სხვა კონტ რაბანდ ულ ი სქაონლის შემოტანისას აქაც უამრავ საშუალებას მიმართავენ, მაგალითად როგორიცაა ავტომობილში მოწყობილი სპეციალური სამალავი, საკვებ პროდუქტებში მოთავსება, სხეულზე და სხეულის ღრუებში დამალვა, სხვადასხვა ნივთების იმიტაციით ძვირფასი ლითონების შემოტანა და ბევრი სხვა. მეზობელი ქვეყნიდან ძვირფასი ლითონების შემოტანის ერთ-ერთ მცდელობისას მოვლენები ასე განვითარდა, დიდი ტევადობის ავტობუსით გადაადგილდებოდნენ მგზავრები ზოგი თურქეთში საქართველოს გავლით ზოგი მოემგზავრებოდნენ საქართველოში, რეგისტრაციის დროს მგზავრებზე დაკვირვების შედეგად, მათი ქცევებიდან გამომდინარე, შეირჩა წინასწარ რამოდენიმე მგზავრი რომლებიც რეგისტრაციის შემდეგ უნდა შემოწმებულიყო. ერთი მათგანი განსაკუთრებით ღელავდა, ადგილს ვერ პოულობდა მგზავრების რიგში გამუდმებით ათვალიერებდა გარემოს და შეძლებისდაგვარად ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას. რეგისტრაციის შემდეგ მებაჟე-ოფიცრის მიერ მოხდა შერჩეული პიროვნების გასაუბრება კერძოდ გადააადგილებდა თუ არა აუცილებელ დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელს, რაზეც მიიღო უარყოფითი პასუხი და მებაჟეების მიერ განხორციელდა დაგეგმილი კანონით განსაზღვრული ქმედებები, მგზავრი გადაყვანილ იქნა სპეციალურად მოწყობილ მგზავრთა ფიზიკური დათვალიერების ოთახში და განხორციელდა როგორც პირადი ხელბარგის დათვალიერება ასევე ფიზიკური დათვალიერება. დათვალიერების შედეგად გამოვლენილ იქნა რამდენიმე საეჭვო ნივთი, კერძოდ ქამარი მეტალის ბალთით და ქამრის აქსესუარები ჯაჭვების სახით რომლებიც ერთი შეხედვით წარმოადგენდა უბრალო ნივთებს, ხოლო საფუძვლიანი შემოწმებისა და შემდეგ უკვე ექსპერტიზის მიერ დადგინდა რომ ყველა აქსესუარი წარმოადგენდა უბრალო მეტალით დაფარულ ძვირფას ლითონს, რომელიც შემოჰქონდათ სხვადსხვა ნაკეთობების დასამზადებლად და შემდეგ უკვე ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის. კანონდამრღვევისთვის განისაზღვრა ჯარიმა კონტრაბანდული საქონლის ღირებულების 100%-ის ოდენობით.

კონკრეტული მაგალითი 3: საქართველოს საბაჟო საზღვარზე გამოვლენილა შემთხვევები როდესაც გამხდარა ნარკოტიკების გადამზიდველთა შემოტევის ობიექტი. უნდა აღინიშნოს რომ ნარკო ტრაფიკი წარმოადგენს ყველაზე ძვირად ღირებულ კონტრაბანდულ ბრუნვას მსოფლიოში. ნარკო ტრაფიკის წარმომადგენლები საქართველოს იყენებენ როგორც სარეალიზაციოდ ასევე მსხვილი პარტიების სატრანზიტო დერეფნადაც რასაც არაერთი გამოვლენილი ნარკო ტრაფიკის შემთხვევები მოწმობს. მოკლედ განვიხილოთ ერთი შემთხვევა. საქართველოში შემოსული მგზავრებისათვის განკუთვნილი ავტო სატრანსპორტო საშუალება გადააადგილებდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს. მგზავრებისათვის განკუთვნილი დერეფნის გავლისას მებაჟე-ოფიცრის ყურადღება მიიქცია სამმა ახალგაზრდა მგზავრმა, რომლებიც შემდგომ გაირკვა რომ ერთი და იგივე ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, ახალგაზრდების გადაადგილებაში შეინიშნებოდა საეჭვო მოძრაობები განსაკუთრებით ორი მათგანის გადაადგილებაში შეინიშნებოდა ქვედა კიდურების შეზღუდული მოძრაობა. რეგისტრაციის შემდეგ გააგრძელეს მოძრაობა დარბაზის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართულებით რა დროსაც ერთ-ერთ მათგანს ქვედა კიდურის ბარძაყის მიდამოში აშკარად გამოეკვეთა მიმაგრებული საგანი, მგზავრები შეჩერებულ იქნენ და გადაყვანილ იქნენ ფიზიკური დათვალიერებისთვის განკუთვნილ ოთახში. დათვალიერების შედეგად ორ მათგანს ქვედა კიდურების ბარძაყებზე წებვადი ლენტებით დამაგრებული ქონდათ სხვადასხვა ზომის და წონის დაფასოებული თეთრი ფხვნილით სავსე პაკეტები, საერთო წონით 6 კგ-მდე. ექსპერტიზით დადგინდა რომ აღნიშნული ნივთირება წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალებას რომლის ღირებულება დაახლოებით 3 მილიონ დოლარს უტოლდებოდა. აღნიშნული ქმედება საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

კონკრეტული მაგალითი 4: ცალკეული ერთი დასახელების საქონლის გარდა ხშირია შემთხვევები როდესაც არაკეთილსინდისიერი იმპორტიორები სატვირთო ავტომობილებით ცდილობენ დეკლარირებულ საქონელთან ერთად სხვადასხვა საქონლის არადეკლარირებულად საბაჟო წესების გვერდის ავლით შემოტანას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს სატვირთო ავტომობილი რომელიც გადააადგილებდა

თანმხლები დოკუმენტების მიხედვით ერთი სახის კონკრეტულ ტვირთს და ახორციელებდა საქონლის იპორტს წინასწარი დეკლარირებით, რაც გულისხმობს საქონლის გაფორმებას საქონლის საქართველოში შემოტანამდე, შემოვიდა საბაჟო კონტროლის ზონაში, მებაჟე ოფიცრის მიერ ავტომანქანა განთავსებულ იქნა კონტროლის ზონაში და დაიწყო შესაბამისი პროცედურების გატარება, კერძოდ მოხდა ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია შესაბამის ბაზაში საქრთველოში შემოსვლის მიზნით. ტვირთის თანმხლები დოკუმენტების მეშვეობით დგინდებოდა რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას უნდა განეხორციელებინა ტვირთის იმპორტი საქართველოში. მებაჟე ოფიცრის მიერ მოხდა სატრანსპორტო დოკუმენტების მიხედვით დეკლარაციის შეფასება შესაბამისი პროგრამის მიხედვით ტვირთის შემდგომი გადაადგილებისათვის იმპორტიორის მიერ შერჩეული მიმართულებით. დეკლარაციას რისკის პროფილის მეშვეობით განესაზღვრა წითელი დერეფანი რაც ითვალისწინებდა ა/მ-ის შემდგომ დათვალიერებას რენტგენო-სკანერის მეშვეობით. ა/მ გდაყვანილ იქნა რენტგენო-სკანერზე და მოხდა მისი სკანირება რა დროსაც სკანირების სურათზე ერთგვაროვან ტვირთტან ერთად გამოიკვეთა სხვა არადეკლარირებული საქონლის არსებობა ავტო მანქანაში, შესაბამისი პროცედურების დაცვით მოხდა ავტომანქანის გახსნა და დათვალიერება რა დროსაც ავტო მანქანაში თანმხლები დოკუმენტების მიხედვით დეკლარირებულ საქონელთან ერთად აღმოჩნდა ორი არა დეკლარირებული დანადგარი. საქართველოს საგადასახადო კედექსის მიხედვით იმპორტიორს დაეკისრა ჯარიმა. გარდა აღნიშნული კანონდარღვევებისა ხშირია ფაქტები საყოფაცხოვრებო ნივთების დეკლარირების გარეშე შემოტანი, .ასევე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საკვები პროდუქტების, აქციზური ალკოჰოლური სასმელების. კონტრაფაქციული საქონლის, წვრილი ცხოველების და ფრინველების და სხვა უამრავი რამის რაზეც ხელი მიუწვდებათ კონტრაბანდისტებს და არაკეთილსინდისიერ იმპორტიორებს.

კონკრეტული მაგალითი 4: ხშირია შემთხვევა როცა ერთი და იგივე პიროვნება სისტემატიურად ცდილობს საბაჟო წესების გვერდის ავლით, კანონდარღვევით მიიღოს შემოსავალი რაც უყურადღებოდ არ რჩება მებაჟე ოფიცრებისგან და მუდმივ კონტროლზე იმყოფებიან ასეთი პიროვნებები. ერთერთი ასეთი შემთხვევა უკავშირდება ავტობუსის მძღოლს რომელიც გადაადგილდებოდა სტამბოლი-ერევნის მიმართულებით, მძღოლი ერთხელ უკვე

დაჯარიმებული იყი საბაჟო ლუქების დაზიანების და დალუქული საქონლის განკარგვის გამო, მებაჟე ოფიცრის მიერ ყურადღებით დათვალიერებულ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ დადებული წებვადი ლუქები რა დროსაც აღმოჩნდა რომ ერთერთი სათავსოს ლუქი იყო დაზიანებული და შემდეგ ეგრეთ წოდებული სკოჩით შენიღბული, ასევე არ ემთხვეოდა დეკლარაციის დანართში მითითებული საქონლის რაოდენობა სათავსოში არსებულს. ვინაიდან მძღოლი ერთხელ უკვე დაჯარიმებული იყო იგივე ქმედებაზე და გასული არ იყო ერთი კალენდარული წელი დაჯარიმებიდან, ქმედება ჩაითვალა განმეორებითად და მძღოლს დაეკისრა ჯარიმა სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისათვის ,პლიუს იდენტიფიკაციის საშუალების დაზიანებისთვის და განკარგული საქონლისთვის.

„თავისუფალი ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც: სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების მიზნით უცხოური საქონლის შემოტანა არ ითვლება საქონლის იმპორტში მოქცევად და, შესაბამისად, მასზე არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საქონლის ექსპორტში მოქცევის ანალოგიური დებულებები (მათ შორის, უცხოური საქონლის სტატუსის მინიჭება) თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს: უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი; საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი უცხოური საქონელი; უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო სასაქონლო ოპერაციაში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით; საქართველოს საქონელი. უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში მოთავსებისას, საქონლის მიმართ განისაზღვრება სასაქონლო ოპერაციის სახე – თავისუფალი ზონა, ხოლო საქართველოს საქონლის მოთავსება თავისუფალ ზონაში ხორციელდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად.“[33]

[33] https://www.rs.ge/6290 გადამოწმებულია 11.08.2020

დასკვნა:

- საბაჟო ურთიერთობების დროს საბაჟო პროცედურებს შორის ყველაზე რთული საკითხი არის კონკრეტული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა. ზოგჯერ ამ თემას უწოდებენ საჯილდაო ქვას საბაჟო ორგანოსა და ბიზნესს შორის;
- საბაჟო ღირებულების განსაზღვრა განზითარებადი ქვეყნების პრობლემაა, სადაც საბაჟო ღირებულებაზე დაუსრულებლად შეიძლება იკამათო. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრობლემებზე მსჯელობა ზედმეტია. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის ეს პრობლემა აქტუალურია.
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით განვითარებადი ქვეყნების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბაჟო ღირებულების შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის მოპოვების გამო შეინიშნება შემოსავლების დანაკარგი. ამის გამო ისინი მოითხოვენ საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, მათ შორის იგულისხმება საექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის უშუალოდ, რათა მოხდეს დეკლარირებული ღირებულების შემოწმება.
- სექსპორტო ღირებულების შესახებ ინფორმაცია ხშირად მწირია და ბევრ ქვეყანაში არ ხდება ამ მონაცემთა სისტემური კონტროლი და შემოწმება. საბაჟო ღირებულების სისტემაში ხშირია გაყალბება, რის გამოც საბაჟოს ენიჭება მისი კონტროლისათვის შესაბამისი ძალაუფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ღირებულების წარმატებული კონტროლისათვის აუცილებელია საბაჟო ადმინისტრაციების რეფორმები და მოდერნიზაცია. საბაჟო ადმინისტრაციები უნდა ეყრდნობოდნენ კონტროლის მექანიზმს, აუდიტის სისტემებს, რაც ფუნდამენტალურია საბაჟო ღირებულებების საკონტროლო რეჟიმის გაუმჯობესებისათვის.
- საბაჟო ღირებულების არსიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დროს საბაჟო ღირებულების დადგენის პრინციპები

არ უნდა იქნეს გამოყენებული საბაჟო ორგანოს მიერ დემპინგური ფასის წინააღმდეგ, ამ ფასის აწევის მიზნით.

- საექსპორტო ამონაგების ან საიმპორტო თანხების სიდიდის განსაზღვრისათვის საბაჟო ღირებულების სწორ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს.
- რეალური ექსპორტ-იმპორტის სალდოს განსაზღვრა ეყრდნობა საქონელთა მოძრაობის სწორად განსაზღვრულ ღირებულებით მონაცემებს, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: ბრძანება N446 ქ. თბილისი, 7 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 2. გვ. 20-23.
2. "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის საქართველოს შემოტანასთან საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს N12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ: ბრძანება N 386: ქ. თბილისი, 15 იანვარი 2019 წელი. ჟურნალი გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 38-39.
3. "საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე" ბრძანება N 1329 ქ. თბილისი, 25 იანვარი 2019 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 5. გვ. 40.
4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: ბრძანება N457: ქ. თბილისი, 19 დეკემბერი 2018 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2019. N 3. გვ. 23.
5. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N90 ბრძანებაში ცვლილების

შეტანის შესახებ: ბრძანება N450: ქ. თბილისი, 15 დეკემბერი 2017 წელი. გადასახადები და აღრიცხვა: საკონსულტაციო–ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი, 2018. N 2. გვ. 31-32.

6. მარკეტინგული კონტროლის როლი საბაჟო მართვის სისტემაში / გიორგი ხაბურზანია; ხელმძღვანელი: კახაბერ ჯაყელი. ეკონომიკა: ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2018. N 4-5. გვ. 174–183.
7. საბაჟო სამართალი და საგადასახადო პოლიტიკის სამართლებრივი ურთიერთობები / მამუკა სარჩიმელია. მოამბე: საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი / საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 2018. N 32. გვ. 20-22.
8. საბაჟო საწყობებში წლობით გაჩერებული საქონლის პრობლემის მოგვარებისთვის საგადასახადო კოდექში ცვლილებები შევიდა. საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი, 2018. 9 იანვარი. N 4 (8405). გვ. 9.
9. საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში. მერი დაუშვილი. ახალი ეკონომისტი: საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი. თბილისი, 2017. N 1 (44). გვ. 52–58. 1512-4649.
10. თანამედროვე საგადასახადო და საბაჟო საქმის ორგანიზაცია და მართვა: სახელმძღვანელო / მურმან ბლიაძე, სოფიო ბლიაძე; რედაქტორი იაშა მესხია; კავკასიის საერთაშორისო უნ-ტი. თბილისი: უნივერსალი, 2017. 311 გვ.
11. ქართული მხარე მზადაა, საბაჟო მონიტორინგის შესახებ ნეიტრალურ კომპანიასთან კონტრაქტი გაფორმდეს. საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი, 2017. 13 ივნისი. N117 (8254). გვ. 2.
12. ინოვაციური მენეჯმენტი. საბაჟო სტატისტიკის გამოყენების პროგრამული უზრინველყოფა / ეკატერინე შილაკაძე, დავით ვარამაშვილი. ბიზნეს-ინჟინერინგი = Business- Engineering: ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი / საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი, 2017. N 1-2. გვ. 214-218.

13. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისათვის / გიორგი მემარნიშვილი. იურისტი = Lawyer: საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი / ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 2017. N 3. გვ. 71-76.
14. საბაჟო დაბეგვრა / გონერ ურიდია; რედაქტორი. ფრიდონ რუხაია. თბილისი: უნივერსალი, 2017. 180 გვ.
15. საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირება საქართველოში: დისერტაცია... ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი / მერი დაუშვილი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო აბესაძე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2017. 198 გვ.
16. შემოწმების ტექნიკური საშუალებები საქართველოს საბაჟო გამშვებ პუნქტებში ვახტანგ ბოგველიშვილი, თეიმურაზ გორშკოვი. ბიზნეს-ინჟინერინგი = Business-Engineering: ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია. თბილისი, 2016. N 4. გვ. 132-135.
17. საბაჟო საქმის სპეციალისტის სახელმძღვანელო. განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. თბ. 2015 წ.
18. საბაჟო საქმის თეორია და პრაქტიკა. გონერ ურიდია, ფრიდონ რუხაია. თბ. 2012

ინტერნეტრესურსები:

1. https://mof.ge ფინანსთა სამინისტრო
2. https://www.rs.ge შემოსავლების სამსახური
3. https://www.rs.ge საქართველოს საბაჟო კოდექსი